



Global Network  
of Civil Society Organisations  
for Disaster Reduction



**ხელვა წინახაზიდან 2011 (VFL 2011)**

**ეროვნული ანგარიში**

**საქართველო**

**კავკასიის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრი (RECC)**

**2011**

## შინაარსი

აბრევიატურების განმარტებები

შესავალი

I. „ხედვა წინახაზიდან“ - პროექტის მიმოხილვა და მეთოდები

II. ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვა საქართველოში, ფონური ინფორმაცია

III. პილგოს მოქმედებათა გეგმის პირველი პრიორიტეტი – მმართველობა

მონაცემთა ანალიზი

1. მონაწილეობა
2. გენდერული საკითხები
3. ბავშვები და ახალგაზრდები
4. მოხალისეები
5. პოლიტიკა
6. ადგილობრივი შესაძლებლობები
7. დაგეგმვა
8. ფინანსური რესურსები
9. დეცენტრალიზაცია
10. ექსპერტიზა
11. ტრენინგები
12. საბაზისო მონაცემები
13. მონიტორინგი
14. მონაწილეობითი მონიტორინგი
15. გასაჩივრების პროცედურა
16. ინფორმაციის შეგროვება
17. ინფორმაციის მართვა
18. ინფორმაციის გავრცელება
19. კოორდინაცია
20. პარტნიორობა

IV. კონკრეტული მაგალითები

V. დასკვნები და რეკომენდაციები

## აბრევიატურების განმარტებები

**DRR (Disaster Risk Reduction) ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირება**  
საზოგადოების მოწყვლადობისა და კატასტროფების რისკების მინიმიზაცია, საფრთხეების უარყოფითი ზეგავლენის თავიდან ასაცილებლად (პრევენცია) ან შესაზღვრად (შერბილება და მზადყოფნა), მდგრადი განვითარების ფართო კონტექსტში.

**GNDR (Global Network of Civil Society Organisations for Disaster Reduction)**  
ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირებისათვის სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების გლობალური ქსელი, რომელის პასუხისმგებელია გლობალურ დონეზე პროექტის „ხედვა წინახაზიდან“ განხორციელებაზე.

**HFA (Hyogo Framework for Action)**  
ჰიოგოს მოქმედებათა გეგმა, რომელიც მიღებული იქნა 168 ქვეყნის მთავრობის მიერ ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირების მსოფლიო კონფერენციაზე, ჰიოგოში (იაპონია), 2005 წელს. კონფერენცია ფოკუსირებული იყო კატასტროფების მიმართ ქვეყნებისა და თემების მდგრადობის ამაღლებისაკენ. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:

<http://www.unisdr.org/wcdr/intergover/official-doc/L-docs/Hyogo-framework-for-action-english.pdf>

**VFL (Views from the Frontline)** - ხედვა წინახაზიდან, ჰიოგოს მოქმედებათა გეგმის განხორციელების მონაწილეობითი მონიტორინგის პროცესი, რომელიც ტარდება 2 წელიწადში ერთხელ GNDR-ის მიერ.

## შსსავალი

თითქმის ყოველდღიურად საინფორმაციო საშუალებები გადმოსცემენ შემაშფოთებელ ფაქტებს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მომხდარი ბუნებრივი კატასტროფებისა და მათი შედეგების შესახებ. ექსტრემალურ ბუნებრივ მოვლენებს ყოველწლიურად ეწირება ათი ათასობით ადამიანის სიცოცხლე, ხოლო ზარალდება საშუალოდ 200 მლნ. ადამიანი. ბუნებრივი კატასტროფები და ტექნოგენური ავარიები მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ ხარჯებს იწვევს, საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა სტაბილურობასა და განვითარების მიზნების მიღწევას.

ადიარებული იქნა რა კატასტროფებისადმი ქვეყნებისა და ადგილობრივი თემების გამძლეობისა და მდგრადობის გაძლიერების აუცილებლობა, მსოფლიოს ქვეყნების წარმომადგენლები შეიკრიბნენ ჯერ 1994 წელს იოკოჰამაში, ხოლო შემდგომ 2005 წელს კობეში (ჰიოგო, იაპონია) კატასტროფების რისკების შემცირების საერთაშორისო კონფერენციებზე ერთიანი პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავების მიზნით. ჰიოგოს კონფერენციის უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო 2005-2015 წლების სამოქმედო პროგრამის - „კატასტროფების მიმართ გამძლეობისა და მდგრადობის დამკვიდრება ქვეყნებსა და თემებში“ მიღება, რითაც საერთაშორისო საზოგადოებამ აიღო კატასტროფებით გამოწვეული ადამიანთა მსხვერპლისა, აგრეთვე, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ზარალის მნიშვნელოვანი შემცირების ვალდებულება. დასახული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა მოქმედებათა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

1. ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე კატასტროფების რისკის შემცირების პრიორიტეტულობის უზრუნველყოფა მყარი ინსტიტუციური საფუძვლის შექმნით;
2. კატასტროფების იდენტიფიცირება, შეფასება და მონიტორინგი, ადრეული შეტყობინების გაუმჯობესება;
3. გამოცდილების, ნოვატორული გადაწყვეტილებებისა და განათლების გამოყენება უსაფრთხოების კულტურის განვითარებისათვის ყველა დონეზე;
4. ძირითადი გამომწვევი რისკ-ფაქტორების შემცირება;
5. ყველა დონეზე კატასტროფებისადმი მზადყოფნის გაძლიერება ეფექტური რეაგირებისათვის.

როგორც დასახული პრიორიტეტებიდან ჩანს, კატასტროფებზე ადეკვატური რეაგირების აუცილებლობასთან ერთად, ჰიოგოს სამოქმედო პროგრამა (HFA) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რისკების შემცირებაზე მიმართულ პრევენციულ ღონისძიებებს, როგორცაა მართვის გაუმჯობესება (როგორც ეროვნულ ისე ადგილობრივ დონეზე), მონიტორინგისა და პროგნოზირების სისტემების განვითარება, საზოგადოების ინფორმირებულობისა და ცნობიერების ღონის ამღებება, ბუნებრივი რესურსებით გონივრული სარგებლობა. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ კატასტროფის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როცა მოსახლეობა არის დაუცველი და მოუმზადებელი ბუნებრივი სტიქიური მოვლენების მიმართ.

სამწუხაროდ საქართველოც მიეკუთვნება ბუნებრივი კატასტროფების მაღალი რისკის ქვეშ მყოფ ქვეყნებს. ყოველწლიური წყალდიდობები, მეწყერული და ღვარცოფული მოვლენები, გვალვები და სხვა სტიქიური მოვლენები საფრთხეს უქმნის ათასობით ადამიანის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. მარტო 1995 – 2009 წლებში სტიქიურ ბუნებრივ მოვლენებს, როგორცაა მეწყერი, ღვარცოფი, წყალდიდობა, გვალვა, ქარიშხალი, თოვლის ზვავები და სეტყვა ემსხვერპლა 134 ადამიანი, ხოლო მათგან გამოწვეულმა ზარალმა შეადგინა 2281 მილიონი ლარი<sup>1</sup>.

საქართველო არის ერთ-ერთი იმ 168 ქვეყნიდან, რომლებმაც მიიღეს ჰიოგოს მოქმედებათა გეგმა 2005 წელს. მიუხედავად იმისა, რომ HFA არ არის იურიდიული ძალის მქონე

<sup>1</sup> წყარო: ეროვნული მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ, საბოლოო სამუშაო ვერსია <http://soegeorgia.blogspot.com/>

დოკუმენტი, მისი მიღება ქვეყნის მიერ, მიუთითებს, რომ კატასტროფების რისკების შემცირება ხდება გარკვეულწილად პრიორიტეტული საკითხი საქართველოს მთავრობისათვის, განსაკუთრებით ეროვნულ დონეზე კატასტროფების რისკების მართვის კოორდინაციის მიმართულებით.

წინამდებარე ანგარიში ასახავს საქართველოში ჰიოგოს მოქმედებათა გეგმის პირველი პრიორიტეტის ადგილობრივ დონეზე განხორციელების შეფასების შედეგებს. კვლევა ჩატარდა „ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირებისათვის არასამთავრობო ორგანიზაციების გლობალური ქსელის“ (GNDR) ინიციატივის „ხედვა წინახაზიდან“ (Views from the Frontline - VFL) ფარგლებში. „ხედვა წინახაზიდან“ არის ჰიოგოს მოქმედებათა გეგმის განხორციელების დამოუკიდებელი მონიტორინგის პროცესი, რომელიც ტარდება 2 წელიწადში ერთხელ GNDR-ის მიერ დაინტერესებული მხარეების ფართო მონაწილეობით.

ანგარიშის პირველ თავში წარმოდგენილია ინფორმაცია პროექტის „ხედვა წინახაზიდან“ მიზნებისა და ამოცანების, მოსალოდნელი შედეგებისა და მეთოდების შესახებ.

ანგარიშის მეორე თავში მიმოხილულია საქართველოში კატასტროფების რისკების მართვის საკითხი. კერძოდ, უკანასკნელ წლებში საქართველოში მომხდარი ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენები და მათგან გამოწვეული ზარალი; კატასტროფების რისკების მართვის პოლიტიკა, კანონმდებლობა და სხვადასხვა სამთავრობო უწყებების პასუხისმგებლობები, რისკების შეფასების მდგომარეობა და საერთაშორისო თანამშრომლობა ამ სფეროში.

ანგარიშის მესამე თავი მოიცავს ადგილობრივ დონეზე მიღწეული პროგრესის ანალიზს ჰიოგოს მოქმედებათა გეგმის დანერგვაში. თუ რამდენად ეფექტურად ხორციელდება კატასტროფების რისკების მართვა ადგილობრივ დონეზე შეფასებულია 20 ინდიკატორის მიხედვით, რომლებიც ეხებიან შემდეგ მიმართულებებს: ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობები, შესაძლებლობები, უზრუნველყოფა რესურსებით, გამჭვირვალობა, ანგარიშგება, თანამშრომლობა და კოორდინაცია სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

ანგარიშის მეოთხე თავში მოცემულია რამდენიმე კონკრეტული მაგალითი კატასტროფების რისკების მართვაში ადგილობრივ დონეზე მიღწეული პროგრესისა და ჯერ კიდევ არსებული პრობლემების ილუსტრირების მიზნით.

ანგარიშის მეხუთე თავი მოიცავს დასკვნებსა და რეკომენდაციებს, ასახავს პროექტის განხორციელების შედეგად გამოვლენილ პრობლემებსა და მიღწეულ წარმატებებს, ასევე რეკომენდაციებს, თუ რა უნდა გაკეთდეს პროგრესის ხელშესაწყობად.

## I. პროექტი „ხედვა წინახაზიდან“ და მისი მიზნობა

2005 წელს კატასტროფების რისკების შემცირების გაეროს ათწლიანი პროგრამის მიღების შემდგომ (HFA), სამოქალაქო საზოგადოებამ გამოხატა შეშფოთება, რომ მაღალი დონის პოლიტიკური დოკუმენტის ეფექტური დანერგვა ძნელად მოხერხდებოდა მსოფლიოს მილიონობით თემში, რომლებიც უშუალოდ განიცდიან ბუნებრივი კატასტროფების რისკების ზემოქმედებას - ე.წ. „წინახაზი“.

2007 წელს, კატასტროფების რისკების შემცირების გლობალურ პლატფორმაზე არასამთავრობო ორგანიზაციებმა დააფუძნეს „კატასტროფების შემცირების გლობალური ქსელი“ (GNDR). გლობალური ქსელის მიზანია ზეგავლენა იქონიოს კატასტროფების რისკების შემცირების პოლიტიკის ეფექტურ დანერგვაზე ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე, ასევე უზრუნველყოს DRR-ის პოლიტიკასა და პრაქტიკაში რისკის ქვეშ მყოფი თემების საჭიროებების სრულად ასახვა. ამჟამად გლობალურ ქსელში გაერთიანებულია 90 ქვეყნის 300 ორგანიზაცია, მათ შორის სათემო ჯგუფები, ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციები და კვლევითი ინსტიტუტები.

GNDR-ის უმთავრესი ინიციატივაა პროექტი „ხედვა წინახაზიდან“ (Views from the Frontline, VFL). პროექტის მიზანია გამოავლინოს თუ როგორ აფასებენ დაინტერესებული მხარეები ადგილობრივ დონეზე მიღწეულ პროგრესს კატასტროფების რისკების შემცირებაში. ამ გზით პროექტი ცდილობს გამოავლინოს პრობლემები, რომელთა გადაჭრა საჭიროებს მეტ ძალისხმევას. ამასთან პროექტი ხელს უწყობს პარტნიორობის ჩამოყალიბებას მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და რისკის ქვეშ მყოფ თემებს შორის უფრო ეფექტური ქმედებების განსახორციელებლად.

2009 წელს VFL-მა უზრუნველყო ერთერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი დამოუკიდებელი შეფასების ჩატარება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 48 ქვეყნის 400-მა ორგანიზაციამ. კვლევაში ჩართული იქნა ადგილობრივი თემების 7000 წარმომადგენელი აფრიკის, აზიისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებიდან. კვლევის შედეგებმა მკაფიოდ წარმოაჩინა, რომ DRR-ის ეროვნული პოლიტიკისა და კანონმდებლობების განვითარებაში მიღწეული პროგრესი ჯერ კიდევ არ იწვევს ცვლილებებს ადგილობრივ დონეებზე. DRR-ის ყველაზე წარმატებული პროგრამები ხორციელდება იმ ქვეყნებში, სადაც ადგილობრივ დონეზე მართვის ორგანოებს აქვთ უნარი გამოიყენონ ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნა, გამოცდილება, შესაძლებლობები და მჭიდროდ ითანამშრომლონ სამოქალაქო საზოგადოებასთან და რისკის ქვეშ მყოფ თემებთან. კვლევის შედეგებმა დიდი ზეგავლენა იქონია 2009 წელს გამართულ DRR-ის გლობალურ პლატფორმაზე და ხელი შეუწყო საერთაშორისო და ეროვნულ დონეებზე DRR-ის პოლიტიკის დაკავშირებას ადგილობრივ დონეზე მისი აღსრულების რეალობებთან. DRR-ის გლობალური პლატფორმის განცხადებაში აღინიშნა, რომ აუცილებელია ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობა და პარტნიორობა, იმ მიზნით, რომ რისკის ქვეშ მყოფი თემები უზრუნველყოფილი იქნენ საჭირო რესურსებით.

„კატასტროფების შემცირების გლობალური ქსელის“ წევრები შეთანხმდნენ, რომ 2010-2011 წლებში კვლევა ფოკუსირებული იქნებოდა ადგილობრივ მმართველობაზე, როგორც DRR-ის პოლიტიკის განმახორციელებელ უმნიშვნელოვანეს რგოლზე. VFL 2011-ის ძირითადი შედეგები უნდა იყოს ადგილობრივ დონეზე ჰიოგოს მოქმედებათა გეგმის დანერგვაში მიღწეული პროგრესის, საბაზისო მონაცემებისა და ფაქტების დამოუკიდებელი გლობალური მიმოხილვის მომზადება, ჰიოგოს მოქმედებათა გეგმის განხორციელებაში ადგილობრივი მმართველობის ორგანოების უფრო ეფექტური ჩართვის ხელშეწყობა, ადგილობრივ დონეზე DRR-ის გაუმჯობესების შესაძლებლობებისა და დაბრკოლებების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. VFL 2011-მა ხელი უნდა შეუწყოს კავშირის დამყარებას რისკის ქვეშ მყოფ თემებსა და ეროვნულ / საერთაშორისო დონეებზე გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს შორის, წარმოადგინოს მტკიცებულებები და

შექმნას საფუძველი ადვოკატირებისათვის. VFL 2011 კვლევაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 70 ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ.

სამხრეთ კავკასიის რეგიონი VFL-ის პროექტში ჩაერთო მისი განხორციელების მეორე ეტაპზე. საქართველოში VFL 2011 კვლევის განხორციელებას კოორდინაცია გაუწია კავკასიის რეგიონულმა გარემოსდაცვითმა ცენტრმა (RECC) Oxfam-თან მჭიდრო თანამშრომლობით.

ადგილობრივ დონეზე (რისკის ქვეშ მოფ თემებში) კვლევა ჩატარდა შემდეგი ორგანიზაციების მიერ: კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN), შავი ზღვის ეკოაკადემია, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, საქართველოს ბუნების მოყვარულთა საზოგადოება, სპექტრი, ფონდი Abkhaz Intercont, სამოქალაქო განვითარების სააგენტო CiDA.

კვლევა განხორციელდა GNDR-ის მიერ შემუშავებული მეთოდით, რომელიც მოიცავდა ინტერვიუებს ადგილობრივი თემების, მმართველობის ორგანოებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ინტერვიუები ტარდებოდა GNDR-ის მიერ მომზადებული კითხვარის მიხედვით<sup>2</sup>. მეთოდის თანახმად თითოეულ ქვეყანაში ინტერვიუები უნდა ჩატარებულიყო არა უმცირეს 200 რესპოდენტთან. რესპოდენტებად შეირჩეოდნენ სხვადასხვა სტიქიური მოვლენების მაღალი რისკის ქვეშ მყოფი თემების წარმომადგენლები, ხოლო ადგილობრივი მმართველობის ორგანოებიდან ის პირები, რომელთაც იყვნენ ინფორმირებულები და გააჩნდათ გარკვეული გამოცდილება DRR-ის საკითხებზე<sup>3</sup>. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები რაოდენობრივად გაანალიზდა GNDR-ის სამდივნოს მიერ და შედეგები წარმოდგენილია მესამე თავში.

საქართველოში განხორციელებული კვლევის ფარგლებში სულ გამოიკითხა 326 რესპოდენტი. მონაცემები რესპოდენტთა შესახებ წარმოდგენილია პირველ დანართში. კვლევა განხორციელდა საქართველოს 8 რეგიონის (კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ზემო სვანეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა მთიანეთი, იმერეთი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა) შემდეგ მუნიციპალიტეტებში: ლაგოდეხი, დედოფლისწყარო, ყვარელი, ონი, ამბროლაური, ცაგერი, მესტია, ქარელი, ხაშური, თეთრიწყარო, გარდაბანი, მცხეთა, წყალტუბო, სამტრედია, ხულო, ქედა, შუახევი (სულ 17 მუნიციპალიტეტი).

VFL-2011-ის ფარგლებში კვლევა ჩატარდა DRR-ის მხოლოდ ადგილობრივი მართვის პროგრესის შეფასებისათვის, რაც არის ჰიოგოს მოქმედებათა გეგმის პირველი პრიორიტეტი. აღნიშნული მიმართულებით პროგრესი შეფასდა 20 ინდიკატორის მიხედვით. ინდიკატორები მიუთითებდნენ ცვლილებებზე მმართველობის ადგილობრივი ორგანოს პასუხისმგებლობებში, რესურსებით უზრუნველყოფაში, შესაძლებლობების გაზრდაში, ანგარიშგაღებულებასა და გამჭვირვალობაში, ადგილობრივი მოსახლეობისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართვაში, ინფორმირებაში. აღნიშნული ინდიკატორების მიხედვით პროგრესის შეფასება, რომელიც მოცემულია წინამდებარე ანგარიშის მესამე თავში, ეყრდნობა გამოკითხვის შედეგებს, აგრეთვე, იმ ინფორმაციას, რომელიც მოწოდებული იქნა ადგილობრივი მოსახლეობისა და თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლების მიერ ინტერვიუების ჩატარების დროს.

გამოკითხვის შედეგები გლობალურ დონეზე მდგომარეობისა და ტენდენციების შეფასების მიზნით გაანალიზდა GNDR-ის სამდივნოს მიერ და საფუძველად დაედო დამოუკიდებელ შეფასებას, რომელიც წარდგენილ იქნა DRR-ის მორიგ გლობალურ პლატფორმაზე 2011

<sup>2</sup> კითხვარის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია მე-3 თავში, ხოლო კითხვარი შეგიძლიათ იხილოთ დანართებში.

<sup>3</sup> VFL-2011 კვლევის დეტალური მეთოდოლოგია, აგრეთვე, კვლევის შედეგების ანალიზი გლობალურ დონეზე შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: <http://www.globalnetwork-dr.org/voices-from-the-frontline-2011.html>

წლის მათში. მიღწეული პროგრესის დამოუკიდებელი შეფასება წარიმართა ქვეყნების მიერ HFA-ს განხორციელების ოფიციალური ეროვნული ანგარიშების მომზადების პარალელურად და ფოკუსირებული იყო ადგილობრივ დონეზე მიღწეულ პროგრესზე, ვიდრე ეროვნულ რეფორმებზე. ამ მიდგომამ ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივ დონეებზე არსებული შესაძლებლობებისა და პრობლემების გამოვლენას, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების როლისა და მნიშვნელობის გაცნობიერებას, ადგილობრივ დონეზე კატასტროფების რისკების შემცირებისაკენ მიმართულ ინვესტიციებზე პოლიტიკური ვალდებულების გაძლიერებას.



## II. ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვა საქართველოში, ზონური ინფორმაცია

### ძირითადი სტიქიური მოვლენები და მათი შედეგები

საქართველოში აღინიშნება მასშტაბური და ხშირად განმეორებადი სტიქიური მოვლენები, როგორცაა მეწყერები, ღვარცოფები, ძლიერი წყალდიდობები და წყალმოვარდნები, გვალვები, თოვლის ზვავები, ძლიერი ქარი, წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიული პროცესები. ბუნებრივი კატასტროფების მაღალი საშიშროება განპირობებულია საქართველოს რთული მთიანი რელიეფით, კლიმატური თავისებურებებით. კავკასიის რეგიონში მაღალი ინტენსივობის მიწისძვრების გააქტიურებამ (1988 წ. – სპიტაკი, 1991 წ. – რაჭა-იმერეთის, 1992 წ. – ფასანაური-ბარისახოს, 2002 წ. – თბილისის) თავის მხრივ კიდევ უფრო გაზარდა გეოლოგიური საშიშროებები და გამოიწვია 30 ათასამდე მეწყერული მოვლენის წარმოქმნა. ბოლო პერიოდში სტიქიური მოვლენების მასშტაბური გააქტიურების მიზეზია, აგრეთვე, კლიმატის ცვლილების შედეგად გახშირებული ექსტრემალური მეტეოროლოგიური მოვლენები<sup>4</sup>.

90-იანი წლების შემდგომ თითქმის ყოველწლიურად აქვს ადგილი გეოლოგიური და ჰიდრომეტეოროლოგიური პირობების საშუალო ფონს ზემოთ გააქტიურებას, ხოლო მათ ექსტრემალურ გამოვლინებებს შორის ინტერვალები მნიშვნელოვნად შემოკლებულია. შედეგად უარყოფითი გეოლოგიურ-კლიმატური ზემოქმედების არეალში ექცევა ახალი ფართობები, დასახლებული ადგილები, საინჟინრო-სამეურნეო ობიექტები. საქართველოში სტიქიის განსაკუთრებულ გააქტიურებას ადგილი ჰქონდა 2004-2005 წლებში, როცა გეოლოგიური მოვლენების საშიშროების რისკის არეალში აღმოჩნდა 1035 დასახლებული პუნქტი, სხვადასხვა სახით დეფორმაცია განიცადა 3070 საცხოვრებელმა სახლმა, დაიტბორა და დაიმეწყრა 2674 ჰა სასოფლო-სამეურნეო საფარეული.

დღეის მდგომარეობით საშიში გეოლოგიური პროცესების მაღალი საშიშროების არეალშია მოქცეული ქვეყნის ტერიტორიის 70%-ზე მეტი 3000-მდე დასახლებული პუნქტით<sup>5</sup>.

ქვემოთ მოყვანილი ციფრობრივი მონაცემები უკანასკნელ წლებში საქართველოში მომხდარი ბუნებრივი სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ადამიანთა მსხვეპლისა და ეკონომიკური ზარალის შესახებ ეყრდნობა „გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების“ სამუშაო ვერსიას, რომელიც 2010 წლის განმავლობაში მომზადდა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ, აგრეთვე გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგებისა და პროგნოზების ყოველწლიურ საინფორმაციო ბიულეტენებს (გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო).

საქართველოში მეწყერულ-გრავიტაციული მოვლენების საშიშროების რისკის ზონაში მოქცეულია ქვეყნის ტერიტორიის 1,5 მლნ. ჰა (21,5 %). მეწყერებით დაზიანებულია ან მათი გააქტიურება მოსალოდნელია 53 ათას უბანში, რომელთა არეალში მოქცეულია 2000-მდე დასახლებული პუნქტი და საავტომობილო გზებისა და მილსადენების 25-30%. 1995-2009 წლებში მეწყერულ მოვლენებს ემსხვერპლა 28 ადამიანი, ხოლო მიყენებულმა პირდაპირმა ზარალმა დაახლოებით 895,1 მლნ ლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მეწყერული მოვლენები არის მოსახლეობის ეკო-მიგრაციის ძირითადი მიზეზი. განსაკუთრებით მასშტაბურია მიგრაციის პროცესი აჭარის მაღალმთიანი რაიონებიდან (ხულო, ქედა, შუახევი). 1967 წლის შემდგომ აღნიშნული რაიონებიდან გადასახლებული იქნა დაახლოებით ათი ათასამდე მოსახლე. მაღალმთიან აჭარაში კატასტროფული მეწყერული მოვლენების განვითარებას ადგილი ჰქონდა 1989 წლის აპრილში, რომლებმაც დააზარალა

<sup>4</sup> საქართველოს მეორე ეროვნული შეტყობინება კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისათვის, 2009.

<sup>5</sup> საინფორმაციო ბიულეტენი: საქართველოში 2008 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2009 წლისათვის გარემოს ეროვნული სააგენტო, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, 2009

<sup>6</sup> ეროვნული მოხსენება გარემოს მდგომარეობის შესახებ, საბოლოო სამუშაო ვერსია <http://soegeorgia.blogspot.com/>

5658 ოჯახი (24 287 ადამიანი). 44 სახლი სრულიად დაინგრა და 1152 დაზიანდა. 3250 კა მიწა უვარგისი გახდა სასოფლო-სამეურნეო გამოყენებისათვის.

საქართველოში **ღვარცოფული მოვლენები** დაფიქსირებულია 3000-მდე ეროზიულ წყალსადინარში. ღვარცოფების რისკის არეალში მოქცეულია ქვეყნის ტერიტორიის 2 მლნ. კა (28,6%). ღვარცოფების მუდმივი საშიშროების ქვეშაა მოქცეული კახეთის კავკასიონის ქედის ძირში განლაგებული დასახლებული პუნქტების მოსახლეობა და პირველ რიგში ქ. ყვარელი, ასევე რაჭისა და ზემო სვანეთის დასახლებული პუნქტები. ბოლო 100 წლის მანძილზე მდ. დურუჯის ხეობაში ღვარცოფების შედეგად 150-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა და უზარმაზარი ზარალი მიადგა ქ. ყვარელის მოსახლეობას. 1995-2009 წლებში ღვარცოფებით მიყენებულმა ზარალმა დაახლოებით 294 მლნ ლარი შეადგინა და იმსხვერპლა 43 ადამიანი. განსაკუთრებით ტრაგიკული აღმოჩნდა 2002 წელს მდ. კარმადონის ხეობაში **გლაციალურმა** ღვარცოფის შემთხვევა, რომელმაც 130-მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

*2009 წელს უხვნალექიანობისა და თავსხმა წვიმების გამო გამოწვეულმა ღვარცოფულმა მოვლენებმა განსაკუთრებით დიდი ზიანი მიაყენა სოფელ გლოლას და ტურბაზა „შოვს“ (ონის მუნიციპალიტეტი). მდ. ბდღვიორას ხეობაში ტრანსფორმირებულმა ღვარცოფმა დაანგრა ტურბაზის 10-ზე მეტი კოტეჯი, წალეკა შოვთან დამაკავშირებელი ხიდი და უშუალო საშიშროება შეუქმნა სოფ. გლოლას მოსახლეობას. ერთ თვეში განმეორებული კატასტროფული ხასიათის ღვარცოფის გამო, ხელახალა ჩასატარებელი ვახდა სარეაბილიტაციო ღონისძიებები. მარტო მდ. ბდღვიორაზე ტრანსფორმირებული ღვარცოფებით მიყენებულმა საერთო ზარალმა 5 მლნ. ლარს გადააჭარბა.*

ტურბაზა „შოვი“, სოფ. გლოლა, ონის მუნიციპალიტეტი  
ფოტოსურათები მოწოდებულია საქართველოს წითელის ჯგერის საზოგადოების მიერ



**წყალდიდობები და წყალმოვარდნები** საქართველოს თითქმის ყველა მდინარისათვის არის დამახასიათებელი. მდინარეებისათვის, რომლებიც სათავეს იღებენ კავკასიონის კალთებიდან, ინტენსიური წყალდიდობის პერიოდი გრძელდება 6 თვე. 1995-2009 წლებში აღინიშნა წყალდიდობისა და წყალმოვარდნის 146 შემთხვევა, მათგან გამოწვეულმა ზარალმა შეადგინა 415 მლნ. ლარი ზარალი და იმსხვერპლა 19 ადამიანი. 2004 წლის შემდგომ თითქმის ყოველწლიურად აღინიშნება წყალდიდობის შემთხვევები, რომელთაც თან ახლავს დიდი მატერიალური ზარალი. არასაკმარისად ხორციელდება ნაპირდამცავი საინჟინრო სამუშაოები წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების პრევენციისათვის. მაგალითად, 2008-2010 წლებში ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩატარდა მხოლოდ 12 ავარიულ ობიექტზე და 54 დასახლებული პუნქტის მიმდებარედ, მაშინ როცა საქართველოს მდინარეთა სანაპიროებზე აღრიცხულია 670-ზე მეტი ავარიული უბანი, რომელთაგან 100-მდე განსაკუთრებით მწვავე ობიექტადაა მიჩნეული.

**გვალვა** პრაქტიკულად ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე აღინიშნება. ეს მოვლენა განსაკუთრებული სიმძრაფრით შიდა და ქვემო ქართლის, კახეთის, ასევე, ზემო იმერეთის რეგიონებში გამოირჩევა. ბოლო 50 წლის მანძილზე კლიმატის ცვლილების ზემოქმედებით გვალვის სიმკაცრემ შესამჩნევად იმატა. თუ გვალვა 15-20 წელიწადში ერთხელ შეინიშნებოდა, ბოლო წლებში მისი სიხშირე თითქმის 3-ჯერ გაიზარდა და 1995-2009 წლებში ძლიერი გვალვები საშუალოდ 6 წელიწადში ერთხელ დაფიქსირდა. ამ წლებში გვალვისაგან მიყენებულმა ზარალმა 381 მლნ. ლარს მიაღწია.

საქართველოს ტერიტორიის 50%-ზე მეტი ზეავსაშიშ ზონაში მდებარეობს. **თოვლის ზვავებისაგან** განსაკუთრებით ზარალდება სვანეთის, მთიანი აჭარის, თუშეთის, ყაზბეგისა და დუშეთის მოსახლეობა. 1995-2009 წლებში თოვლის ზვავებისაგან მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 47,5 მლნ ლარი, დაიღუპა 19 ადამიანი. უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით კატასტროფული იყო 1987 წლის ზამთარი, როცა სვანეთის რამდენიმე სოფელში თოვლის საფარის სიმაღლემ 3-5 მეტრს მიაღწია. დიდთოვლობით გამოწვეულმა ზვავებმა დააზიანა 2000 სახლი, დაიღუპა 85 ადამიანი, რისკის ზონიდან ევაკუირებული იქნა 16 000 ადამიანი.

საქართველო სეისმურად აქტიურ რეგიონში მდებარეობს. აქ შესაძლებელია მოხდეს **მიწისძვრები**, რომელთა მაგნიტუდა 7-ის ტოლია, ხოლო მაკროსეისმური ეფექტი - 9 ბალი. ყველაზე მასშტაბური მოვლენა საქართველოს ტერიტორიაზე იყო 1991 წლის 29 აპრილის მიწისძვრა რაჭაში, რომლის ინტენსივობა ეპიცენტრში იყო 9 ბალი. მიწისძვრის შედეგად დაიღუპა 200-მდე ადამიანი. მიწისძვრამ დიდი ნგრევა გამოიწვია რაჭისა და იმერეთის რეგიონებში. დაინგრა და დაზიანდა დაახლოებით 46 000 საცხოვრებელი სახლი, 1000-მდე საწარმო და სხვა ობიექტი, უსახლკაროდ დარჩა 100 000-მდე ადამიანი. მიწისძვრით მიყენებული ზარალი 10 მილიარდ მანეთად (1991 წლის კურსი) შეფასდა. მიწისძვრას მოყვა აფთერშოკები, რომლებმაც დამატებითი ნგრევა და მსხვერპლი გამოიწვიეს. აღსანიშნავია, რომ მიწისძვრით დაზიანებული ტერიტორიები დღესაც არაა აღდგენილი, არ არის აშენებული დანგრეული სახლების ნახევარიც კი. რაჭის მიწისძვრიდან წელიწადნახევრის შემდეგ 1992 წლის ოქტომბერში კვლავ მოხდა ძლიერი მიწისძვრა (მაგნიტუდა 6,5, ინტენსივობა ეპიცენტრში – 8 ბალი) ბარისახოში. რაჭისა და ბარისახოს მიწისძვრებით გამოწვეული იქნა 20 ათასამდე მეწყერულ-კლდეზვავური მოვლენა, რომლის ნეგატიური ზემოქმედების არეში აღმოჩნდა 1500-მდე დასახლებული პუნქტი, სამოსახლოდ უვარგისი გახდა 332 ათასამდე კა მიწის ფართობი, დაიღუპა 100-მდე ადამიანი, მეწყერულ-კლდეზვავების ქვეშ მოექცა სოფ. ხასიეთი (საჩხერის რაიონი) და სოფ. ჩორდი (ონის რაიონი).

ცხრილში მოყვანილია ინფორმაცია 2006-2010 წლებში ბუნებრივი სტიქიური მოვლენების (სახიფათო გეოფიზიკური, გეოლოგიური, მეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური მოვლენები და ბუნებრივი ხანძრები) გამო გამოცხადებული საგანგებო სიტუაციებისა და მისგან გამოწვეული ზარალის შესახებ<sup>7</sup>.

წლები	საგანგებო სიტუაციების რაოდენობა	დაღუპულთა/ დაზარალებულთა რაოდენობა	დროებით გადასახლებულთა რაოდენობა	დანგრეული/დაზიანებული შენობა-ნაგებობების რაოდენობა
2006	432	6/6		5 / 266
2007	193	3 / 461	50	2 / 127
2008	348	23 / 10	6	15 / 52
2009	192	2 / 14	0	2 / 185
2010	734	7 / 16	2871	45 / 1104

<sup>7</sup> წყარო: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის ვებ-გვერდი, <http://www.police.ge/index.php?m=277>

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ქვეყანაში სტიქიური მოვლენების სიხშირისა და ინტენსივობის ზრდის მიზეზი, გარდა ბუნებრივი ფაქტორებისა, არის გარემოზე ადამიანის უარყოფითი ზემოქმედება, როგორცაა სამთამადნო მრეწველობა, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობა, ტყეების გაჩეხვა, გადაძოვება, ტერიტორიების უსისტემო ურბანიზაცია. სტიქიური მოვლენებით მიყენებულ ზარალს კიდევ უფრო ზრდის კლიმატური და ჰიდროლოგიური თვალსაზრისით სამშენებლო ნორმებისა და წესების უგულვებელყოფა, სათანადო შეფასებების გარეშე მიწების საინჟინრო ათვისება. ხშირია შემთხვევა, როცა მოსახლეობა სახლდება ძველ მეწყერულ სხეულზე, დვარცოფების გამონატანზე, მდინარეთა ჭალების პერიოდულად დატბორვის ფართობებზე. ქვემოთ მოყვანილია აღნიშნულის საილუსტრაციო მაგალითები:

*მდ. რიონზე გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში აშენებული ჰიდროელექტროსადგურების გამო ამჟამად მუდმივად ემუქრება წყალდიდობის საფრთხე წყალტუბოსა და სამტრედიის მუნიციპალიტეტების რამდენიმე სოფლის მოსახლეობას. გუმბათის კაშხლის მშენებლობის შემდგომ მდ. რიონის კალაპოტის ნატანის მოსიღვისა და მისი გამტარობის შემცირების გამო სერიოზული საფრთხე შეექმნა სოფ. ოფურხეთის და სოფ. ჟონეთის მოსახლეობას. 2000 წლის შემდგომ მდინარე რიონის წყალდიდობის პერიოდში სისტემატურად იტბორება აღნიშნული სოფლების მოსახლეობის ნაწილის საკარმიდამო ნაკვეთები და საცხოვრებელი სახლები, რასაც თან ახლავს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი. რისკის ზონაში მდებარეობს სკოლის შენობაც, რომელიც მთლიანად იტბორება წყალდიდობის დროს. ამჟამად საშიშროების ზონიდან უკვე გადასახლებულია 19 ოჯახი. თუმცა საფრთხე ჯერ კიდევ ემუქრება 58 ოჯახს. სტიქიის გამო მათი ნაწილის სახლები საცხოვრებლად უკვე უვარვისი გახდა. სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული კომპენსაციას (10 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში) მოსახლეობა მიიხნევს არაადეკვატურად. სიშორისა და რადიკალურად განსხვავებული გარემო პირობების გამო, მათთვის მიუღებელია, აგრეთვე, რეგიონი, სადაც შესთავაზეს გადასახლება (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი). წყალდიდობების გამო ისედაც მცირემიწიან სოფელში კიდევ უფრო შემცირდა სასოფლო-სამეურნეოდ გამოსადეგი ფართობები, რაც კიდევ უფრო ამცირებს დაზარალებული მოსახლეობის შემოსავლებს.*

*სოფელი ჟონეთი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი*



სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშის მოსახლეობას კი უკვე 10 წელია საფრთხეს ვარციხეპესების კასკადის სადრენაჟო სისტემის მოუწესრიგებლობა უქმნის, რის გამოც სოფელი წელიწადში ორჯერ მაინც იტბორება და დიდი ზიანი ადგება როგორც მოსახლეობას, ისე სასოფლო სამეურნეო სავარგულებს. პრობლემა დაკავშირებულია სადერივაციო არხის აშენების შედეგად მარჯვენა სანაპიროდან მდ. რიონში ატმოსფერული და მიწისქვეშა წყლების დრენირების შეწყვეტასთან. სოფელ ბაშის მოსახლეობა იძულებულია სხვაგან ეძებოს სამოსახლო და საარსებო საშუალება.

სადრენაჟო არხი სოფ. ბაშში, სამტრედიის მუნიციპალიტეტი  
ფოტო მოწოდებულია Foundation Abkhaz Intercont ის მიერ



სოფ. ბაშის, სადერივაციო არხის და სადრენაჟო არხის ურთიერთგანთავსების სქემა. წყარო: ვარციხის პესების კასკადის მიმდინარე საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში, შპს „ვარციხე 2005“, სამცხე-ჯავახეთის ფორმა „გამა“, 2009.



გახშირებული სტიქიური მოვლენების შედეგად საქართველოში 1980 წლის შემდგომ გაძლიერდა მოსახლეობის მიგრაცია, განსაკუთრებით მთიანი რეგიონებიდან. 1981-2006 წლებში დაახლოებით 11 000 ოჯახი (60 000 ადამიანი) იქნა გადასახლებულია მთიანი რეგიონებიდან, ძირითადად აჭარიდან და სვანეთიდან საქართველოს სხვა რეგიონებში<sup>8</sup>. ახალ ადგილებზე გადასახლება დაკავშირებულია საცხოვრებელი გარემოს მკვეთრ ცვლილებასთან და დასაქმების სირთულეებთან. ძალიან მწირია ეკო-მიგრანტების

<sup>8</sup> Tom Trier & Medea Turashvili, Resettlement of Ecologically Displaced persons, Solution A Problem or Creation of a New? Eco-Migration in Georgian 1981-2006, European Centre for Minority Issues (ECMI) 2007

საჭიროებებზე მიმართული საბიუჯეტო და სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი სახსრები, ხოლო მაღალი რისკის ზონაში მოხვედრილი მოსახლეების განსახლების თანხები უკვე მეორე წელია საერთოდ არ არის ბიუჯეტში გათვალისწინებული. ადგილნაცვალი პირები განსახლების შემდეგაც საზოგადოების უღარიბეს სეგმენტად რჩებიან. მძიმე მდომარეობაშია 1980-1990 წლებში განსახლებული ოჯახების ერთი ნაწილიც. არ არსებობს სახელმწიფო ხედა და სტრატეგია პრობლემის გადასაჭრელად. იძულებით გადაადგილებული პირების აღნიშნული კატეგორია ქვეყანაში სამართლებრივად საერთოდ არ არის აღიარებული.

## **პოლიტიკა, კანონმდებლობა და პასუხისმგებელი ორგანოები**

უკანასკნელი წლების განმავლობაში ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვა თანდათანობით აისახა სახელმწიფო პოლიტიკის გამომხატველ ძირითად დოკუმენტებში. ამ სფეროში შემუშავებული და მიღებული იქნა რამდენიმე საკანონმდებლო და მარეგულირებელი დოკუმენტი.

2010 წლის სექტემბერში დამტკიცდა<sup>9</sup> საქართველოს საფრთხეების შეფასების 2010-2013 წლების დოკუმენტი, რომლითაც ბუნებრივი კატასტროფები (მიწისძვრა, წყალდიდობა, ზვავი, მეწყერი, ღვარცოფი, ტყის ხანძრები, გვალვა, სეტყვა და ეროზიული პროცესები) მიჩნეულია რისკ-ფაქტორებად, რომელთაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ ქვეყნის უსაფრთხოებაზე.

2009 წლიდან დაწყებული ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირების საკითხი გარკვეულწლად აისახება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტებში<sup>10</sup>, რაშიც გარკვეული როლი შეასრულა სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობამ. კერძოდ, გარემოს დაცვის სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტად განისაზღვრა გარემოს მონიტორინგისა და პროგნოზირების სისტემის სრულყოფა და მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ წინასწარი გაფრთხილების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება, ხოლო კატასტროფებზე რეაგირების შესახებ პერსონალის მომზადება-გადამზადება არის შინაგან საქმეთა სამინისტროს 2011-2014 წლების ერთ-ერთი პრიორიტეტი. ადგილობრივ დონეზე მხოლოდ რამდენიმე რეგიონის პრიორიტეტულ მიმართულებებში არის მოხსენიებული წყალდიდობებისაგან დაცვის მიზნით მდინარეთა ნაპირსამაგრი ნაგებობების მშენებლობისა და აღდგენის ღონისძიებების საჭიროება.

**საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგიაში** (დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისი №172 დადგენილებით) შედარებით მეტი ყურადღება ეთმობა ადგილობრივ დონეზე ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული რისკების მართვის გაუმჯობესებას. დოკუმენტით განსაზღვრულია რისკის ზონებში მონიტორინგისა და ადრეული შეტყობინების სისტემების დანერგვა, ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული საგანგებო სიტუაციებისათვის სამოქმედო გეგმების შემუშავება, შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორცილება, ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული რისკების, მათი რეგიონის ეკონომიკასა და სოციალურ სფეროზე გავლენის შეფასება და გათვალისწინება რეგიონების მდგრადი განვითარების სტრატეგიებსა და სამოქმედო პროგრამებში.

ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვის სამართლებრივ ბაზას ქმნიან შემდეგი კანონები და მარეგულირებელი აქტები:

<sup>9</sup> საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №707, 02.09.2010.

<sup>10</sup> საქართველოს მთავრობა, ძირითადი მონაცემები და მიმართულებები, 2009-2012. 2010-2013, 2011-2014. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესახებ კანონის თანახმად ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი არის ქვეყნის განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ“.

საქართველოს კანონი „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ (2007 წელი), რომელიც არის ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვის სფეროში ძირითადი სამართლებრივი აქტი, განსაზღვრავს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებაში ცენტრალური და ადგილობრივი მართვის ორგანოების უფლებებსა და მოვალეობებს, დაფინანსების წყაროებს, ადგენს საგანგებო სიტუაციების შესახებ ინფორმაციის საჯაროობას, აგრეთვე მოსახლეობის მომზადებისა და საგანმანათლებლო პროპაგანდის ვალდებულებას. კანონი ძირითადად ორიენტირებულია რეაგირებაზე და თითქმის არ ასახავს კატასტროფების საფრთხეების რისკების შემცირების საკითხს. მიუხედავად იმისა, რომ პრევენციული ღონისძიებების განხორციელება კანონით აღიარებულია საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპად, კანონით არ არის გათვალისწინებული პასუხისმგებლობები აღნიშნული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაზე.

ქვეყანაში საგანგებო სიტუაციის თავიდან აცილებისა და ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ერთიანი სისტემის ამოქმედების მიზნით 2008 წლის აგვისტოში საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით (№415) დამტკიცდა „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმა“. დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი თუ როგორ უნდა განხორციელდეს საგანგებო სიტუაციებში სააგარიო-სამაშველო და აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება და კოორდინაცია, აგრეთვე, ცალკეული სამინისტროების, სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების პასუხისმგებლობები. თუმცა აღნიშნული დოკუმენტი განკუთვნილია მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის ამოცანების გადასაწყვეტად ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების წარმოქმნის საშიშროებისა და მათი განვითარების შემთხვევაში. დოკუმენტი არ განსაზღვრავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობებს კატასტროფების რისკების შემცირებისათვის პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვაში.

ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვაში მონაწილეობას იღებს რამდენიმე სამინისტრო, მათ შორის გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო, ასევე ადგილობრივი მუნიციპალიტეტები, თუმცა არც ერთი სამთავრობო უწყება არ არის ჩართული რისკების მართვის სრულ ციკლში, რომელიც მოიცავს მზადყოფნას, პრევენციას, მიტიგაციას, რეაგირებას და შედეგების აღმოფხვრას.

ადგილობრივ დონეზე საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მიზნით შექმნილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საგანგებო სიტუაციების მართვის დანაყოფები, ხოლო რეაგირების მართვის ცენტრია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საგანგებო შტაბები, რომელიც იკრიბება საგანგებო სიტუაციის საშიშროების ან მისი წარმოქმნის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის მიერ და კოორდინაციას უწევს რეაგირების ქმედებებს.

## **რისკების შეფასება**

ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ბუნებრივი კატასტროფების ადრეული შეტყობინების თანამედროვე სისტემა. ძალზე გაიშვიათებულია ჰიდრომეტეოროლოგიურ პარამეტრებზე დაკვირვების სტაციონარული ქსელი (90-იან წლებამდე არსებული 75 მეტეოროლოგიური სადგურიდან ამჟამად ფუნქციონირებს მხოლოდ 13). თუმცა გარემოს ეროვნული სააგენტოში ამჟამად მიმდინარე პროექტების ფარგლებში დაგეგმილია მეტეოროლოგიური სადგურების რაოდენობის გაზრდა და მათი ავტომატიზაცია. არასაკმარისად ხორციელდება გეოლოგიური მოვლენების მონიტორინგის სამუშაოები. 2006 წლიდან შეწყდა სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა გეომონიტორინგული კვლევები. დაფინანსების შეზღუდვის გამო ამჟამად

გეოლოგიური კვლევები მიმდინარეობს მხოლოდ მაღალი საშიშროების არეალებში, ძირითადად მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოების მიმართვის საფუძველზე, რის გამოც არასრულფასოვანი ხდება გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დამუშავებული ყოველწლიური პროგნოზები გეოლოგიური სტიქიის რისკების შესახებ.

## საერთაშორისო თანამშრომლობა

საერთაშორისო თანასაზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება ასრულებს მნიშვნელოვან როლს საქართველოში კატასტროფების რისკების მართვის სფეროში.

კატასტროფების რისკის შემცირება არის 2011-2015 წლებში გაეროს საქართველოსთან თანამშრომლობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება. „გაეროს გეგმა განვითარების ხელშეწყობისათვის“ (UNDAF) შემუშავდა საქართველოში გაეროს საინიციატივო ჯგუფის, საქართველოს მთავრობას, სამოქალაქო საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის კონსულტაციების შედეგად და მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის, განსაკუთრებით დაუცველთა, ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. დოკუმენტით განსაზღვრულია თანამშრომლობის სამი პრიორიტეტული მიმართულება: სიღარიბის შემცირება (i), დემოკრატიული განვითარება (ii) და კატასტროფების რისკების შემცირება (iii). დოკუმენტში მკაფიოაა ხაზგასმული, რომ თანამშრომლობა უნდა წარმართოს არა მხოლოდ კატასტროფებზე რეაგირების სისტემის შემდგომი სრულყოფის, არამედ კატასტროფების პრევენციის და მათი შედეგების შერბილების პროფილაქტიკური მექანიზმების ამოქმედების მიმართულებით. UNDAF ითვალისწინებს თანამშრომლობას ისეთი მიმართულებებით, როგორცა:

- კატასტროფების რისკების შემცირების კანონმდებლობის (მათ შორის რისკის შემცირების უზრუნველმყოფი მექანიზმებისა და ნორმების) შემდგომი განვითარება;
- კატასტროფების რისკების დადგენის, შეფასების, კვლევისა და მონიტორინგის მექანიზმების გაუმჯობესება ყველა დონეზე და ეკოლოგიურ მიგრაციაზე სახელმწიფოს რეაგირების გაუმჯობესება;
- საზოგადოებისა და ხელისუფლების ცნობიერების ამაღლება, თემების ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამებში;
- ბუნებრივი რესურსების მართვისა და ინსტრუმენტების მდგრადი სისტემის შექმნა;
- კატასტროფების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, რეაგირების გეგმების მომზადება ყველა დონეზე, კატასტროფების მართვის ძლიერი სტრუქტურების შექმნა.

კატასტროფათა რისკის შემცირება და შემდგომი რეაბილიტაცია არის საქართველოში UNDP-ის ოფისის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება. 2008 წლის შემდგომ შევიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით UNDP-ის მიერ ხორციელდება პროექტი „კატასტროფათა რისკების შემცირების სისტემის სრულყოფა“, რომლის მიზანია საქართველოს მთავრობას გაუწიოს მხარდაჭერა კატასტროფათა რისკის შემცირების ქმედითი ეროვნული პლატფორმის ჩამოყალიბებაში, კატასტროფათა რისკების შემცირების ინტეგრირებაში განვითარების პოლიტიკაში, პროგრამებსა და პრაქტიკაში, კატასტროფათა რისკის მართვისა და კოორდინირების გაძლიერებაში. კატასტროფათა რისკების მართვის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით 2009 წლის მარტში UNDP-ის ინიციატივით ჩამოყალიბდა არაფორმალური გაერთიანება, რომელშიც შედიან სამთავრობო, არასამთავრობო, კვლევითი ინსტიტუტებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

2009 წლიდან მიმდინარეობს პოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სოციალური ტრანსფორმაციის პროგრამის ფარგლებში (MATRA) დაფინანსებული პროექტი „ინსტიტუციური გაძლიერება საქართველოში ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირებისათვის“, რომელსაც ერთობლივად ახორციელებს კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN) და ტვენტეს უნივერსიტეტის



გეონფორმაციული მეცნიერებისა და დედამიწის დაკვირვების ფაკულტეტი (ITC). პროექტის ძირითადი მიზნებია: სხვადასხვა ტიპის ბუნებრივი საფრთხეების რისკის შეფასების და სივრცულ დაგეგმარებაში, გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში (გზშ) და სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებაში (სგშ) მათი ინტეგრირების სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება; გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების შესაძლებლობების გაზრდა კატასტროფების რისკის მართვის და შემცირებისთვის საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიებში და მიდგომებში; კატასტროფების რისკის მართვის და შემცირებისათვის საჭირო მონაცემთა დამუშავების ახალი სისტემების და ეროვნული ვებ-ატლასის შექმნა; კატასტროფების რისკის შემცირებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიების და მიდგომების ტესტირება და კონკრეტულ მაგალითზე (სხვადასხვა საფრთხეებისადმი) კვლევის წარმოება და შემდგომში მათი გამოქვეყნება; რისკის კომუნიკაციის სტრატეგიისა და წინასწარი გაფრთხილების სისტემის ჩარჩო ხედვის შემუშავება.

2009 წლიდან CENN ევროკომისიის დაფინანსებით ახორციელებს პროექტს "საქართველოში ბუნებრივი კატასტროფების და სიღარიბის შემცირებისათვის ადგილობრივი შესაძლებლობების გაზრდა, სტრუქტურული დიალოგისა და თანამშრომლობის განვითარება." პროექტი მიმდინარეობს საქართველოს 6 რეგიონში და მისი ძირითადი მიზნებია: ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალებული ადგილობრივი მოსახლეობისა და მთავრობის შესაძლებლობების გაზრდა რისკების შემცირების საკითხებში და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა სამიზნე რეგიონებში; კატასტროფების რისკების მართვის და შემცირების საკითხზე სტრუქტურული დიალოგის სტიმულირება ადგილობრივ ხელისუფლებას, მოსახლეობას და ცენტრალურ მთავრობას შორის; კატასტროფების რისკების მართვის და შემცირების საკითხის პრიორიტიზება სახელმწიფო დონეზე, როგორც სიღარიბის შემცირების ერთ-ერთი ფაქტორი და საჭირო თანხების გამოყოფის ლობირება როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე.

2010 წელს ევროპის კომისიის პუმანიტარული დახმარების დეპარტამენტმა სამხრეთ კავკასიაში დაიწყო კატასტროფებისადმი მზადყოფნის პროგრამა, რომლის მიზანია ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე უსაფრთხოების კულტურისა და კატასტროფებისადმი მდგრადობის ჩამოყალიბება. აღნიშნული პროგრამის პარტნიორები არიან გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), Oxfam და დანიის წითელი ჯვარი. UNICEF მხარს უჭერს DRR-ის პოლიტიკისა და სტრატეგიების ჩართვას არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებში, აგრეთვე, ხელს უწყობს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების შესაძლებლობების გაძლიერებას კატასტროფებისადმი მზადყოფნასა და რისკების შემცირების მიმართულებით.

Oxfam ეხმარება 22 თემს აჭარაში, რათა გააძლიერდეს მათი მზადყოფნა კატასტროფებისადმი, ხელს უწყობს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ადგილობრივი გეგმების მომზადებასა და რისკების შემარბილებელი პროექტების დანერგვას; დანიისა და საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებები ეხმარებიან თემებს რაჭა-ლეჩხუმსა და ზემო სვანეთში კატასტროფებისადმი მათი მზადყოფნის გაძლიერების მიზნით ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ქმედებებით, ტრენინგებით, სამოქმედო გეგმების შემუშავებით.

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით ბორჯომის, ახალციხის, ხელვაჩაურის, ქედას, დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში ახორციელებს პროექტს „კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება“, რომლის ძირითადი მიზანია ადგილობრივი თემების უნარ-შესაძლებლობებისა და მათი მეურნეობის გაძლიერება კლიმატის ცვლილებისადმი მზაობისა და ადაპტაციის თვალსაზრისით.

**III. ჰიზონ მოქმედებათა გეგმის პირველი პერიოდიტი - მმართველობის გაუმჯობესება, მონაცემთა ანალიზი**

ანგარიშის ამ ნაწილში გაანალიზებულია პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები. ინტერვიუები ტარდებოდა GNDR-ის მიერ სპეციალურად იმგვარად შემუშავებული კითხვარით, რომ გამოვლენილიყო ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების ხედვა ან პოზიცია ადგილობრივ დონეზე კატასტროფების რისკების მართვაში ცვლილებებთან მიმართებით.

რესპოდენტები აფასებდნენ პროგრესის ხარისხს სხვადასხვა ინდიკატორების მიხედვით, სტანდარტული კითხვარის შევსებით (იხ. დანართებში). კითხვებზე პასუხი გაცემა ხდებოდა 5 ქულიანი სკალის მიხედვით, რომელიც ასახავს პროგრესს შემდეგნაირად:

- 1 - არა, საერთოდ არა;
- 2 - ძალიან შეზღუდულად;
- 3 - რამდენიმე ქმედება, მაგრამ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება;
- 4 - დიახ, მაგრამ შეზღუდული შესაძლებლობებით და რესურსებით;
- 5 - დიახ, დამაკმაყოფილებელი, მდგრადი და ეფექტური ქმედებების განხორციელებით.

ამასთან, რესპოდენტებს საშუალება ჰქონდათ გაკეთებინათ კომენტარები, განემარტათ შეფასება და მოეყვანათ მაგალითები.


პროგრესის შესაფასებლად GNDR-ის მიერ შემუშავებული იქნა 20 ინდიკატორი, რომლებიც ეხებიან შემდეგ საკითხებს: ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვაში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობები, შესაძლებლობები, უზრუნველყოფა რესურსებით, გამჭვირვალობა, ანგარიშგება, თანამშრომლობა და კოორდინაცია სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. ერთი შეკითხვა ეხებოდა მოსახლეობის მიერ კატასტროფების რისკების გაცნობიერებას (ანუ მოსახლეობის აზრით, რამდენად მაღალია ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენების ან ტექნოგენური ავარიების არსებული საფრთხეები). და ბოლოს, რესპოდენტებს ეძლეოდათ საშუალება შეეფასებინათ კატასტროფების რისკების მართვაში ცვლილებების შედეგი – განხორციელებული ღონისძიებების შედეგად შემცირდა თუ არა სტიქიური მოვლენებით/ტექნოგენური ავარიებით გამოწვეული ზარალი.

**ცვლილება ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეულ ზარალში**

რესპოდენტთა 68 % მიიჩნევს, რომ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული ზარალი გაიზარდა, ხოლო 21 %-ის აზრით - შემცირდა.


**ცხრილი 1. ცვლილებები კატასტროფებით გამოწვეულ ზარალში 2005 წლის შემდეგ**

	სიხშირე	პროცენტი	ჯამური პროცენტი
დანაკარგების მნიშვნელოვანი ზრდა	92	28,2 %	68 %
მცირე ზრდა	129	39,6 %	
ცვლილება არ არის	37	11,3 %	21%
უმნიშვნელო შემცირება	52	16 %	
მნიშვნელოვანი შემცირება	16	4,9%	
სულ	326		



**ბუნებრივი კატასტროფების რისკების გაცნობიერება**

რესპოდენტთა 49,7% ბუნებრივი კატასტროფების რისკს აფასებდა როგორც საშუალოს, 20,2%, - როგორც მცირე, ხოლო 30% მიიჩნევს, რომ კატასტროფების რისკი არის მაღალი.




**ცხრილი 2. კატასტროფების რისკების გაცნობიერება**

	სისშირე	პროცენტი
ბუნებრივი	14	4,3 %
მცირე	52	16%
საშუალო	162	49,7%
მაღალი	65	19,9%
ძალიან მაღალი	33	10,1%
სულ	326	

**პროგრესი ადგილობრივ დონეზე კატასტროფების რისკების მართვაში**


პირველ დიაგრამაზე წარმოდგენილია საშუალო ქულები ადგილობრივ დონეზე კატასტროფების რისკების მართვის პროგრესის ოცივე ინდიკატორის მიხედვით.

**დიაგრამა 1. საშუალო ქულები DRR-ის ინდიკატორების მიხედვით**



მეორე დიაგრამაზე წარმოდგენილია ადგილობრივ დონეზე ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვის ინდიკატორების მიხედვით საშუალო ქულები საქართველოში, შედარებით გლობალურ დონესთან.

დიაგრამა 2. საშუალო ქულები საქართველოში DRR-ის ინდიკატორების მიხედვით, შედარებით გლობალურ დონესთან.



როგორც პირველი და მეორე დიაგრამებიდან ჩანს ადგილობრივ დონეზე კატასტროფების რისკების მართვაში შედარებით წინსვლა აღინიშნება შემდეგი ინდიკატორების მიხედვით:

- პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბება თვითმმართველობის ორგანოებს, თემებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძო სექტორსა და სამეცნიერო წრეებს შორის;
- კოორდინაცია თვითმმართველობის ორგანოებსა და სამთავრობო უწყებებსა და სამინისტროებს შორის;
- მოსახლეობისათვის შესაძლებლობის შექმნა იჩივლოს სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალის გამო და მოითხოვოს შესაბამისი კომპენსაცია.

საქართველოში ყველაზე მწვავე პრობლემებად მიიჩნევა:

- მმართველობის ადგილობრივი ორგანოების თანამშრომლების, მოსახლეობისა და სამოქალაქო საზოგადოების განათლება, სწავლება და წვრთნა ბუნებრივი კატასტროფებისადმი მათი მზადყოფნის ამაღლების მიზნით;
- ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა;
- მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ კატასტროფების პრევენციის დაგეგმვა.

ქვემოთ მოყვანილია გამოკითხვის შედეგად მიღებული შეფასებების ანალიზი თითოეული ინდიკატორის მიხედვით. ინდიკატორის დასახელების შემდეგ მოცემულია შეკითხვა, რომლის მიხედვითაც მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისა და რისკის ქვეშ მყოფი თემების მიერ ფასდებოდა პროგრესი, ხოლო შემდგომ ინდიკატორთან დაკავშირებული ფონური ინფორმაცია და გამოვლენილი პრობლემები.

### 1. მონაწილეობა (2.8 ქულა)

*კატასტროფების პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მმართველობის ადგილობრივი ორგანოები რთავს თუ არა მოსახლეობას, განსაკუთრებით მოწყვლად და მარგინალურ ჯგუფებს?*

მუნიციპალურ დონეზე განსაკუთრებული რისკის ქვეში მყოფი თემები იდენტიფიცირებულია „საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმებით“ იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც აღნიშნული გეგმები არის შემუშავებული.

რისკის ქვეში მყოფი თემების წარმომადგენლებს საშუალება ეძლევათ ჩაერთონ პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვაში მუნიციპალიტეტის ყოველწლიური ბიუჯეტის განხილვაში მონაწილეობით. განხილვის დღე ცხადდება წინასწარ და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ მხარეს. აღნიშნულ შეხვედრაზე თემის წარმომადგენლებს ეძლევათ საშუალება დაასახელონ თემის პრიორიტეტები, მათ შორის პრევენციული ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაც გადაუდებლად არის საჭირო. თემის კრების გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმის სახით, რომლის საფუძველზეც ნაწილდება თემისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსები.

მონაწილეობის სხვა ფორმებია ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და თემების წარმომადგენლების ჩართვა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების შტაბში (ლაგოდეხი, შუახევი), აგრეთვე, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მუნიციპალური გეგმების პროექტების განხილვა რისკის ქვეში მყოფი თემების წარმომადგენლებთან ერთობლივად.

მიუხედავად არსებული შესაძლებლობებისა, მოსახლეობისა და განსაკუთრებით, რისკის ქვეში მყოფი თემების ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არის ძალიან შეზღუდული. დაგეგმვასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის შემთხვევაშიც კი იშვიათად ხდება მოსახლეობის აზრის გათვალისწინება. ხშირ შემთხვევაში მონაწილეობის ეფექტურობას ამცირებს თემების წარმომადგენლების არასაკმარისი ინფორმირებულობა და ცოდნის დაბალი დონე მოსალოდნელი საფრთხეებისა და შესაძლებელი პრევენციული ღონისძიებების შესახებ. ხელისშემშლელი გარემოებაა, აგრეთვე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეფექტური მონაწილეობისა და მასზე ზეგავლენის მოხდენის არასათანადო უნარები.

## **2. გენდერული საკითხები (3.0 ქულა)**

*მმართველობის ადგილობრივი ორგანოები უზრუნველყოფენ თუ რა ქალთა და მამაკაცთა თანაბარ მონაწილეობას კატასტროფების პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვაში და განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში?*

კატასტროფების რისკების შემცირების მუნიციპალურ გეგმებში, ასევე ეროვნული დონეზე არსებულ დოკუმენტებში არ არის ასახული გენდერული საკითხები. როგორც თემების, ასევე მმართველობის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ქალთა და მამაკაცთა თანაბარი მონაწილეობისათვის ხელისშემშლელი მიზეზები შეიძლება იყოს ქალთა ჯგუფების მცირე აქტიურობა კატასტროფების რისკების შემცირების საკითხებთან დაკავშირებით, აგრეთვე, მათი ცოდნის დაბალი დონე. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში (ხულო, ქედა და შუახევი) ქალთა შეზღუდული მონაწილეობის მიზეზად სახელდება მათი დაკავებულობა საოჯახო საქმეებით. ამასთან ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში. გამოკითხულ ქალთა ნაწილი მიუთითებდა იმაზეც, რომ მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ნაკლებად ითვალისწინებენ მათ მოსაზრებებს კატასტროფების რისკების მართვის საკითხებზე.

## **3. ბავშვები და ახალგაზრდობა (2.6 ქულა)**

*მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ითვალისწინებენ თუ არა ბავშვებისა და ახალგაზრდების სპეციფიკურ საჭიროებებს კატასტროფების პრევენციაში?*

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მუნიციპალურ გეგმებში გარკვეული ყურადღება ეთმობა სკოლების უსაფრთხოების საკითხს. გეგმებში მოცემულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტებში არსებული სკოლებისა და მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ,

სკოლებში არსებული რესურსების (მაგალითად, სარდაფების მდგომარეობა, სახანძრო-სარეზერვო გასასვლელების არსებობა, სატრანსპორტო საშუალებები) შესახებ. ზოგიერთ მუნიციპალიტეტში საგანმანათლებლო რესურს ცენტრების ხელმძღვანელები არიან საგანგებო შტაბის წევრები. სკოლების ადმინისტრაციები უზრუნველყოფენ მოსწავლეთა უსაფრთხო ტრანსპორტირებას სახლებამდე მეტეოროლოგიური პირობების მკვეთრი გაუარესების დროს.

თუმცა, საჭირო რესურსების არ არსებობის გამო, ფაქტიურად არ ხორციელდება სკოლების უსაფრთხოების ამადლების ღონისძიებები. ბავშვებსა და ახალგაზრდობას, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, სადაც მაღალია ბუნებრივი სტიქიური მოვლენების რისკი, არ აქვთ შესაბამისი ცოდნა და უნარები, რაც უზრუნველყოფდა მათ მზადყოფნას და მისცემდა შესაძლებლობას მოეხდინათ ადეკვატური რეაგირება სტიქიური მოვლენების საშიშროების ან მოხდენის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ DRR-ის საკითხები ამჟამად ჩართულია ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ძირითად პროგრამებში მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების გათვალისწინებით.

პრეზიდენტის ინიციატივისა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების საფუძველზე 2010-2011 წლებიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-4, მე-8 და მე-12 კლასებში დაიწყო სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოების კურსის სწავლება. საგანი მოიცავს სამ თემატურ მიმართულებას: ა) პირადი უსაფრთხოება; ბ) კატასტროფების რისკების შემცირება და ქცევის პრაქტიკა საგანგებო სიტუაციებში; გ) პირველი დახმარება.

მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებელთა მხრიდან აღინიშნებოდა, რომ საჭიროებენ გაცილებით მეტ ინფორმაციას და ცოდნას DRR-ის საკითხზე და მიუთითებდნენ ტრენინგების ჩატარებისა და საგანმანათლებლო მასალების მიწოდების აუცილებლობაზე.

ევროკომისიის კუმანიტარული დახმარების დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის - „კატასტროფათა რისკის შემცირების მხარდაჭერა სამხრეთ კავკასიის დაუცველ თემებსა და ინსტიტუტებში“ - ფარგლებში, რომელიც ხორციელდება განათლებისა და მეცნიერებათა სამინისტროს, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტისა და UNICEF-ის თანამშრომლობით, DRR-ის საკითხები ჩართული იქნა სადამრიგებლო საათის სავალდებულო პროგრამაში V-IX კლასებისათვის; ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადდა მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო დამრიგებელთათვის. ამჟამად მიმდინარეობს პროგრამის პილოტირება, ხოლო მისი სწავლება დაიწყება 2011-2012 სასწავლო წელს. პროექტის ფარგლებში UNICEF-ისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლობით ასევე მომზადდა დამხმარე სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის IV და VIII კლასებში სამოქალაქო უსაფრთხოებისა და თავდაცვის საგნის სწავლებისათვის. ამავე პროექტის ფარგლებში კავკასიის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტთან თანამშრომლობით, თბილისში და 6 რეგიონში შერჩეულ 8 სკოლაში ხორციელდება ქმედებები კატასტროფებისადმი მზადყოფნის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, სკოლებში ყალიბდება კატასტროფების რისკების მართვის კომიტეტები, მუშავდება კატასტროფებზე რეაგირების სასკოლო გეგმები, ტარდება ტრენინგები და სკოლებს მიეწოდებათ საბაზისო აღჭურვილობა.

DRR-ის საკითხების ჩართვა ძირითად საგანმანათლებლო პროგრამებში, სამოქალაქო თავდაცვისა და უსაფრთხოებისა და სადამრიგებლო საათის პროგრამებში, ხელს უწყობს გარემოსა და მდგრად განვითარებაზე ბუნებრივი კატასტროფების ზეგავლენის

გაცნობიერებას არა მხოლოდ მოსწავლეებში, არამედ ოჯახების, სკოლებისა და და თემების მიერ, რასაც, თავის მხრივ, წვლილი შეაქვს საზოგადოებაში უსაფრთხოებისა და მდგრადობის კულტურის ჩამოყალიბებაში.

#### **4. მოხალისეები (3.3 ქულა)**

***მმართველობის ადგილობრივი ორგანოები მხარს უჭერენ თუ არა მოხალისეების მონაწილეობას კატასტროფების პრევენციაში?***

„ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულია მოსახლეობის უფლება გაერთიანდნენ მოხალისეთა სამაშველო ფორმირებებში და შეისწავლონ საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის ძირითადი მეთოდები.

ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის თანახმად საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილების ან ამ სიტუაციებით გამოწვეული შედეგების ლიკვიდაციის ღონისძიებებში არასამთავრობო ორგანიზაციები მონაწილეობენ ნებაყოფლობით და ჩართვის შემთხვევაში, მათი მოქმედებების ორგანიზებას ახდენს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება. იმ ორგანიზაციებს, რომელთა სადამფუძნებლო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია სამაშველო ოპერაციებში ჩაბმა, პროფილის მიხედვით განესაზღვრებათ კომპეტენცია და მათ აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ მოხალისეთა ფორმირებებში.

ზოგიერთ მუნიციპალიტეტში (მაგალითად ლაგოდეხი, მცხეთა) მოწყველად თემებში შექმნილია საინიციატივო ჯგუფები (10-15 კაცის მონაწილეობით), რომლებსაც ეძლევათ სათანადო ინსტრუქციები მოქმედების თაობაზე სტიქიური ბუნებრივი მოვლენის ან ტექნოგენური ხასიათის ავარიის საშიშროების ან მოხდენის შემთხვევაში. მმართველობის ადგილობრივი ორგანოები აღნიშნულ შემთხვევებში ახდენენ იმ პირთა მობილიზებასაც, ვინც გაიარა მომზადება რეზერვისტთა პროგრამით. მმართველობის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებს გაცნობიერებული აქვთ მოხალისეთა ენთუზიაზმის და გამოცდილების მნიშვნელობა რეაგირების ღონისძიებების განხორციელებაში.

ზოგიერთ მუნიციპალიტეტში (მცხეთა, თეთრიწყარო, გორი, სამტრედია, ლაგოდეხი, ყვარელი) მოსახლეობა აქტიურად ერთვება რეაგირების ღონისძიებების განხორციელებაში, თუმცა ზოგან აღინიშნებოდა, რომ მცირეა იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს გაიარონ სათანადო ტრენინგი და ინსტრუქტაჟი, რათა საჭიროების შემთხვევაში ჩაერთონ კატასტროფების პრევენციასა და რეაგირებაში.

#### **5. პოლიტიკა (2.6 ქულა)**

***მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ რეგულარულად ხდება თუ არა კატასტროფების პრევენციის პოლიტიკის გადახედვა, რათა უზრუნველყოფილი იქნეს საზოგადოების მოწყველადი ფენების დაცვა (მოხუცები, ეთნიკური უმცირესობები, ბავშვები და ახალგაზრდები, ინვალიდები, მიგრანტები)***

მუნიციპალურ დონეზე კატასტროფების რისკების შემცირების პოლიტიკა არ არის დოკუმენტირებული. თუმცა, ისევე როგორც ეროვნულ დონეზე, ძირითადი ყურადღება ექცევა მზადყოფნას რეაგირებისათვის, ვიდრე პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას. მოსახლეობა მიიჩნევს, რომ მმართველობის ადგილობრივი ორგანოების პოლიტიკის პროგრესი, საზოგადოების მოწყველადი ჯგუფების ინტერესების გათვალისწინების კუთხით, არ აღინიშნება. კვლავინდებურად, ადგილობრივი მმართველობის პოლიტიკა ძირითადად მიმართულია რისკის ზონებიდან მოსახლეობის გადასახლებისაკენ და საშიშროების შემთხვევაში, მოსახლეობის დროული გაფრთხილების უზრუნველყოფისაკენ.



## 6. ადგილობრივი შესაძლებლობები (3.1 ქულა)

*მმართველობის ადგილობრივი ორგანოები კატასტროფების პრევენციაში ითვალისწინებენ თუ არა ადგილობრივი და მკვიდრი მოსახლეობის ცოდნას, ჩვევებსა და რესურსებს?*

მმართველობის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლების ინფორმაციით ადგილობრივ მოსახლეობასთან, განსაკუთრებით სოფლის უხუცესებთან კონსულტაციები ტარდება თემის დონეზე საფრთხეების იდენტიფიცირებისას. თუმცა მოსახლეობა არ მიიჩნევს, რომ ჩართულია კატასტროფების რისკების მართვაში. ხშირ შემთხვევაში აღნიშნებოდა, რომ თემის მიერ მიწოდებული რეკომენდაციები არ იქნა გათვალისწინებული და შესაბამისად გატარებული ღონისძიებები აღმოჩნდა ნაკლებ ეფექტური.


## 7. დაგეგმვა (2.1 ქულა)

*მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს გააჩნიათ თუ არა კატასტროფების პრევენციის პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელების გეგმა?*

ადგილობრივ დონეზე პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა (როგორცაა მაგალითად ნაპირსამაგრი სამუშაოების წარმოება, დახმარების გაწევა სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის, დაზიანებული შენობა-ნაგებობების აღდგენა) ხდება ყოველწლიურად, არსებული ფინანსური და ტექნიკური რესურსებიდან გამომდინარე. როგორც უკვე აღინიშნა, თემებისათვის ყოველწლიურად გამოყოფილი ბიუჯეტის დაგეგმვის მიზნით, ტარდება საკონსულტაციო შეხვედრები მოსახლეობასთან. მოსახლეობას ამით ეძლევა საშუალება გამოყოფილი ფინანსური რესურსები მიმართოს სათემო პრიორიტეტებზე, მათ შორის პრევენციული და რეაგირების ღონისძიებების განხორციელებაზე. ადგილობრივ დონეზე არ ხდება კატასტროფების პრევენციის უფრო ხანგრძლივადიანი დაგეგმვა. ამასთან, თემებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების სიმწირის გამო, მათი მიმართვა ძირითადად ხდება მცირე მასშტაბის პრევენციულ სამუშაოებზე.

როგორც უკვე აღინიშნა, დღეის მდგომარეობით ძირითადი ყურადღება გადატანილია სტიქიური მოვლენებისა და ტექნოგენური ავარიებისადმი მზადყოფნის უზრუნველყოფაზე. ამ მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტისა და CENN-ის თანამშრომლობით გასულ წელს დაიწყო საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მუნიციპალური გეგმების შემუშავება, რომლებიც არის რეაგირების ეროვნული გეგმის შემადგენელი ნაწილი. ამჟამად საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმები დამტკიცებული აქვს 14 მუნიციპალიტეტს, მომზადებული აქვს 22 მუნიციპალიტეტს, ხოლო დანარჩენ 23 მუნიციპალიტეტს აღნიშნული გეგმები ჯერჯერობით შემუშავებული არ აქვთ (უფრო დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი პირველ დანართში).

**დიაგრამა 2. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მუნიციპალური გეგმების შემუშავების მდგომარეობა (მარტი, 2011)**



აღნიშნული დოკუმენტების დანიშნულებაა სწრაფი და კოორდინირებული რეაგირების მოხდენის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის დონეზე ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციის საშიშროების ან მოხდენის შემთხვევაში. დოკუმენტებით არ არის განსაზღვრული პრევენციული ღონისძიებები. თუმცა, თავის მხრივ, ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას გააჩნია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, მიუთითებს მის გარკვეულ მზადყოფნაზე. რეაგირების გეგმები მოიცავენ მუნიციპალიტეტში არსებული ძირითადი საფრთხეების შეფასებას, ასევე იდენტიფიცირებულია განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი თემები და რისკის ზონები. რეაგირების გეგმაში მოცემულია საგანგებო შტაბების (მუნიციპალიტეტის დონეზე რეაგირების მართვის ცენტრი) შემადგენლობა და საკონტაქტო ინფორმაცია, ასევე რეაგირების კონკრეტულ ღონისძიებებზე პასუხისმგებელი სამსახურები, ორგანიზაციები, კონკრეტული პირები და მათი მონაწილეობები. რეაგირების გეგმებში ასევე ასახულია მუნიციპალიტეტის დონეზე არსებული რესურსები (სატრანსპორტო საშუალებები, სამედიცინო დახმარების ობიექტები, თავშესაფრები), რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნეს ბუნებრივი სტიქიური მოვლენების ან ტექნოგენური ავარიების მოხდენის შემთხვევაში.

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმების არსებობის შემთხვევაშიც, კი როგორც მოსახლეობა, ისე მმართველობის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლები მცირედ არიან ინფორმირებულები აღნიშნული დოკუმენტის შესახებ.

#### **8. ფინანსური რესურსები (1.9 ქულა)**

***მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს გააჩნიათ თუ არა ადეკვატური ბიუჯეტი კატასტროფების პრევენციისათვის?***

ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენებიდან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის ღონისძიებები და მათგან გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო ხარჯები ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტებიდან, აგრეთვე, სარეზერვო ფონდებიდან (ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში გათვალისწინებული და საგანგებო ხარჯების, აგრეთვე სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიების დასაფინანსებლად განსაზღვრული საბიუჯეტო სახსრები).

ყველა რეგიონის როგორც მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, ასევე რისკის ქვეშ მყოფი თემების წარმომადგენლები ცალსახად აცხადებდნენ, რომ მუნიციპალურ დონეზე არსებული ფინანსური რესურსები სრულიად არაადეკვატურია როგორც პრევენციული ღონისძიებების განსახორციელებლად, ისე სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისათვის. ადგილობრივი თვითმმართველობის მწირი რესურსებით (ნაწილობრივ სარეზერვო ფონდებიდან და ნაწილობრივ „სოფლის დახმარების პროგრამის“ ფარგლებში) შესაძლებელია მხოლოდ შედეგების ლიკვიდაციის მიზნით მცირე მოცულობის, დროებითი ხასიათის სამუშაოების ჩატარება. კაპიტალური პრევენციული სამუშაოებისათვის საჭირო რესურსები მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებში გათვალისწინებული არ არის. სარეზერვო ფონდების თანხები მიმართულია მხოლოდ რეაგირების ღონისძიებებზე და მცირე დახმარების გაწევაზე დახარალებული მოსახლეობისათვის.

#### **9. დეცენტრალიზაცია (3.0 ქულა)**

***მკაფიოდაა განსაზღვრული თუ არა მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ოფიციალურ პირებს როლი და პასუხისმგებლობა სტიქიური მოვლენების პრევენციაში?***

საგანგებო სიტუაციების მართვაში ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების უფლებამოსილებები განსაზღვრულია კანონით „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ (2007). კანონით დადგენილია საგანგებო სიტუაციების მართვის 4 დონე (ეროვნული, ავტონომიური, რეგიონული და ადგილობრივი), ასევე მართვაზე პასუხისმგებელი ორგანოები თითოეულ დონეზე, მათი უფლებები და მოვალეობები.

კანონის თანახმად საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისას რეგიონულ დონეზე ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში პრეზიდენტის რწმუნებულის – გუბერნატორის უფლებამოსილებებია სახანძრო და სამაშველო ძალების კოორდინაცია, საავარიო-სამაშველო სამუშაოების ზედამხედველობა, მოსახლეობის ევაკუაცია და დროებითი საცხოვრებელი უზრუნველყოფა, ჰუმანიტარული დახმარების განაწილება, ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობების ზედამხედველობა, სამინისტროების ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია, დახმარების მოთხოვნა ეროვნულ დონეზე, როდესაც ადგილობრივი ძალები არ არის საკმარისი საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისათვის. მუნიციპალურ დონეზე მუნიციპალიტეტების მართვის ორგანოები ვალდებული არიან შექმნან თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საგანგებო სიტუაციების მართვის დანაყოფები, უზრუნველყონ მათი მომზადება და მუდმივი მზადყოფნა. მუნიციპალიტეტების მართვის ორგანოები იღებენ გადაწყვეტილებას მოსახლეობის ევაკუაციის შესახებ და უზრუნველყოფენ მათ დროებითი საცხოვრებელი, ანაწილებენ ჰუმანიტარულ დახმარებას, ორგანიზებას უწევენ საავარიო-სამაშველო სამუშაოთა შესრულებას, აფინანსებენ მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის ღონისძიებებს, იღებენ და ამუშავენ შესაბამის ინფორმაციას.

მმართველობის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ მათ ხელთ არსებული ტექნიკური და ფინანსური რესურსები სრულიად არაადეკვატურია ზემოთ აღნიშნული უფლებამოსილებების განსახორციელებლად.

რისკის ქვეშ მყოფი თემები მიიჩნევენ, რომ მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ასრულებენ საკმაოდ ქმედით როლს და არიან საკმაოდ მობილიზებული ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენების საშიშროების ან მოხდენის შემთხვევაში, ასევე მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის შეფასებაში. მიუხედავად ამისა, მიიჩნევენ, რომ საჭიროა მოსახლეობა იყოს უფრო მეტად ინფორმირებული მმართველობის ადგილობრივი ორგანოების უფლებებსა და კონკრეტული პირების პასუხისმგებლობებზე, რათა იცოდნენ ვის მიმართონ კონკრეტულ საკითხებზე. ამასთან, თემების წარმომადგენლების შეფასებით ადგილობრივი მთავრობის ოფიციალურ პირებს არ აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები კატასტროფების პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში.

#### 10. ექსპერტიზა (კომპეტენცია) (2.6 ქულა)

*მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს აქვთ თუ არა საკმარისი კომპეტენცია კატასტროფების პრევენციაში?*

პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერია სათანადო ტექნიკური ექსპერტიზის არ არსებობა ადგილობრივ დონეზე. საკრებულოებისა და გამგებობების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ საჭიროებენ სათანადო კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებს. ზოგჯერ არსებულ პრობლემებს შეიძლება ჰქონდეს უფრო მარტივი და შედარებით იაფი საინჟინრო გადაწყვეტა, მაგრამ ცოდნისა და გამოცდილების ნაკლებობის გამო ვერ ხდებოდა მათი იდენტიფიცირება. მოსახლეობის აზრითაც, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს არ გააჩნიათ საკმარისი გამოცდილება, და ტექნიკური ცოდნა, რათა დაგეგმოს და განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები. კატასტროფების რისკების მართვაში სათანადო ინფორმაციისა და ცოდნის მისაღებად ტრენინგების ჩატარების აუცილებლობაზე მიუთითებდნენ, როგორც მმართველობის ორგანოების, ისე თემების წარმომადგენლები. მათი აზრით პროფესიული კადრების არსებობა, გამგებობის თანამშრომლების ტექნიკური უნარების ამაღლება მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს კატასტროფების რისკების გარკვეულწილად შერბილებას.

#### 11. ტრენინგები (1.7 ქულა)

*მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ატარებენ თუ არა კატასტროფების პრევენციის ტრენინგს მოხელეებისათვის, თემებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის?*

ეროვნული კანონმდებლობის თანახმად ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ მოსახლეობის მომზადება და საგანმანათლებლო პროპაგანდა საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის სფეროში.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელთა და სპეციალისტთა მომზადება საგანგებო სიტუაციების მართვაში, აგრეთვე, სახანძრო-სამაშველო ძალების სწავლება და გადამზადება, არის შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტის მოვალეობა. დეპარტამენტის მიერ ტრენინგი ჩატარდათ შემდეგი რეგიონების მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებს: კახეთის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის. ასევე ტრენინგები ჩატარდათ ყველა რეგიონის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურების ხელმძღვანელებსა და მათ ანალიტიკოსებს. ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებისა და მოსახლეობის ტრენინგები ჩატარდა, აგრეთვე, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების ფარგლებში. მაგალითად, 2009 წელს ცაგერისა და ლენტეხის რაიონებში მეხანძრე-მაშველების გადამზადება მოხდა შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ხელშეწყობით; ამავე წელს კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ჩატარდა მოსახლეობისა და ხელმძღვანელი პირების ტრენინგები წყალდიდობების რისკის შემცირების მიზნით. CENN-ის მხარდაჭერით 2010 წელს დაიწყო და ამჟამად გრძელდება მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირების ტრენინგები ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ადგილობრივი რეაგირების გეგმების მომზადების საკითხებზე. 2008 წლიდან საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ ხორციელდება პროგრამა პირველადი დახმარების შესახებ მოსახლეობის ცოდნის დონისა და პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ტრენინგები ჩატარდა დაახლოებით 2100 თემის ლიდერს საქართველოს 6 რეგიონში.

მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც რისკის ქვეშ მყოფი თემების, ისე გამგეობებისა და საკრებულოების წარმომადგენლები მიუთითებდნენ კატასტროფების რისკების მართვაში ტრენინგების ჩატარებისა და საგანმანათლებლო / ცნობიერების ამაღლების მასალების დიდ საჭიროებაზე, აგრეთვე, ტრენინგების სისტემატური ჩატარების აუცილებლობაზე. საკრებულოებსა და გამგეობებს არ გააჩნიათ სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსები და არც საგანმანათლებლო მასალები, რათა უზრუნველყონ ტრენინგების ჩატარება რისკის ქვეშ მყოფი თემებისათვის, თუმცა აცნობიერებს მის მნიშვნელობას და გამოხატავენ დიდ დაინტერესებას.

**12. საბაზისო დონე (3.5 ქულა)**  
*მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ განსაზღვრულია თუ არა საწყისი მდგომარეობა, რომელთანაც შედარებით განისაზღვრება პროგრესის სტიქიური მოვლენების პრევენციაში?*

მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ არ არის განსაზღვრული საბაზისო მდგომარეობა კატასტროფების რისკების პრევენციაში პროგრესის შესაფასებლად. არ არის დასახული ამოცანები და მათი მიღწევის ინდიკატორები.

თუმცა, გარკვეულწილად შესაძლებელია საბაზისო მდგომარეობად მიჩნეული იქნეს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმებში მოცემული მდგომარეობა, მათ საფუძველზე განისაზღვროს ადამიანური, ტექნიკური და ფინანსური რესურსების გაუმჯობესების საჭიროებები და დაისახოს შესაბამისი ამოცანები.

**13. მონიტორინგი (2.4 ქულა)**  
*მმართველობის ადგილობრივი ორგანოები რეგულარულად უწევს თუ არა მონიტორინგს და ამზადებს ანგარიშებს კატასტროფების პრევენციის თაობაზე?*

ცალკე ანგარიში სტიქიური მოვლენების პრევენციისათვის გაწეული სამუშაოების შესახებ არ მზადდება. განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოცემულია გამგეობების წლიურ ანგარიშებში, რომელიც განიხილება საკრებულოს სხდომის მიერ.

განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი ადგილების მონიტორინგი ხდება სისტემატურად. ზოგ შემთხვევაში იქმნება კომისია გამგეობისა და საკრებულოს წარმომადგენლების მონაწილეობით, რომელიც ახდენს საფრთხის შეფასებას და თვითმმართველობის ორგანოებს წარუდგენს შემოწმების მასალებს. ასევე კომისიურად ხდება გატარებული პრევენციული ღონისძიების შემოწმება და შესაბამისი აქტების შედგენა.

მიუხედავად აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტებს არ გააჩნიათ მონაცემები ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის შესახებ. ძნელად ხელმისაწვდომია ინფორმაცია პრევენციულ და რეაგირების ღონისძიებებზე ყოველწლიურად გაწეული ფინანსური დანახარჯების შესახებ ან მუნიციპალიტეტებში იმ პირთა რაოდენობის შესახებ, რომლებმაც გაიარეს ტრენინგები კატასტროფების რისკების მართვის საკითხებში.

#### **14. მონაწილეობითი მონიტორინგი (2.6 ქულა)**

*მმართველობის ადგილობრივი ორგანოები რთავს თუ არა თემებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს კატასტროფების პრევენციის მონიტორინგში?*

მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ არ ხდება მოსახლეობისა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა კატასტროფების პრევენციის მონიტორინგში. ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს არ აქვთ სათანადო გამოცდილება, რომ მოითხოვონ და ეფექტურად ჩაერთონ კატასტროფების რისკების შემცირების ღონისძიებებში.

#### **15. გასაჩივრების პროცედურა (3.5 ქულა)**

*მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ქმნის თუ არა იმის შესაძლებლობას, რომ მოსახლეობას შეეძლოს იჩივლოს და მიიღოს პასუხი.*

ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენებით დაზარალებულ მოსახლეობას შეუძლია განცხადებით მიმართოს საკრებულოს ან გამგეობას და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება. ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ შექმნილია საკითხის შემსწავლელი კომისიები, რომელთა დასკვნის საფუძველზეც განისაზღვრება კომპენსაციის მოცულობა. ინფორმაცია საცხოვრებელი სახლებისა და საკარმიდამო ნაკვეთების დაზიანების შესახებ იგზავნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში, რომელიც პასუხისმგებელია ეკო-მიგრანტთა განსახლების უზრუნველყოფაზე.

თუმცა ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ზარალის შეფასებისა და კომპენსაციის გაცემის გამჭვირვალე მექანიზმები.

მოსახლეობა გაწეულ კომპენსაციას უმეტეს წილად მიიჩნევს არაადეკვატურად. მოსახლეობისათვის ასევე გაურკვეველია კომპენსაციის თანხის განსაზღვრის კრიტერიუმები, რაც იწვევს მათ უკმაყოფილებას

ხშირია შემთხვევები, როცა ფულადი კომპენსაცია მოსახლეობის მიერ იხარჯება არამიზნობრივად, არ ხმარდება გამაგრებით სამუშაოებს ან ახალი საცხოვრებლის შექმნას.

#### **16. ინფორმაციის შეგროვება (2.5 ქულა)**

*მმართველობის ადგილობრივი ორგანოები რეგულარულად კრებს, განიხილავს და არუკებს ინფორმაციას კატასტროფების საფრთხეებზე და კლიმატის ცვლილებაზე?*

გამგეობების მიერ ხდება ინფორმაციის შეგროვება, რათა გამოვლენილი იქნეს ყველაზე კრიტიკული ადგილები და დაიგეგმოს ღონისძიებები მოსალოდნელი საშიშროების შემცირებისათვის. თემების წარმომადგენლები ვალდებული არიან თემის დონეზე არსებული საფრთხეების შესახებ სისტემატურად წარუდგინონ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის საკრებულოებსა და გამგეობებს. მაგალითად, ქ. ყვარელის გამგეობა თვეში ორჯერ ახდენს მდ. დურუჯის დათვალიერებას მოსალოდნელი საშიშროების შესახებ დროული ინფორმაციის მიღების მიზნით. ხოლო, აჭარის მთავრობის მოთხოვნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მუნიციპალიტეტები ყოველდღიურად წარადგენენ ინფორმაციას სოფლებსა და გზებზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

მეორე მხრივ, გამგეობები მოსალოდნელი ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენების შესახებ ინფორმაციას იღებენ სამხარეო ადმინისტრაციებიდან. მოსალოდნელი საშიშროების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე გამგეობა ახდენს მოსახლეობის დაუყოვნებლივ ინფორმირებას.

ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენების რისკების რუკების დამუშავება მუნიციპალურ და რეგიონულ დონეებზე არ ხდება.

### **17. ინფორმაციის მართვა (3.0 ქულა)**

***ლოკალური ქმედებების ინფორმირებული დაგეგმვისთვის მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ითვალისწინებენ თუ არა როგორც ტრადიციულ, ისე სამეცნიერო ცოდნას?***

მმართველობის ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლების ინფორმაციით, თემის დონეზე საფრთხეების იდენტიფიცირებისათვის ტარდება კონსულტაციები ადგილობრივ მოსახლეობასთან. თუმცა, თემების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ ნაკლებად ხდება მათი მოსახრებების გათვალისწინება.

სტიქიური მოვლენების გააქტიურების შემთხვევაში მუნიციპალიტეტების გამგეობები შესაბამის კვლევების ჩატარებისა და განსახორციელებელი სამუშაოების თაობაზე რეკომენდაციების მომზადების მიზნით მიმართავენ გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებს. მოწვეული სპეციალისტების მიერ ხდება რისკის ქვეშ მყოფი ტერიტორიის შეფასება და შესაბამისი დასკვნების მომზადება, თუმცა აღნიშნულს არ აქვს სისტემატური ხასიათი, ზოგიერთ შემთხვევაში კონსულტაციებს აქვთ მხოლოდ ფორმალური ხასიათი და სპეციალისტების რეკომენდაციები ვერ ხორციელდება სათანადო დაფინანსების არ არსებობისა და სამთავრობო ორგანიზაციებს შორის სუსტი კოორდინაციის გამო.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს ეროვნულ სააგენტოში არსებული დიდი მოცულობის ინფორმაციის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობა შეზღუდულია. ინფორმაციის უმეტესი ნაწილი არ არსებობს ელექტრონული სახით, ამის გამო არის ძნელად განახლებადი. ერთიანი, ცენტრალიზებული და მუდმივად განახლებადი მონაცემთა ბაზისა და რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებზე საფრთხეების რუკების არ არსებობა მნიშვნელოვნად ზღუდავს სანდო მეცნიერულ ინფორმაციაზე დროულ ხელმისაწვდომობას და ამცირებს პრევენციული და შერბილების ზომების სათანადო დაგეგმვის შესაძლებლობას. გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური საფრთხეების პროგნოზის ყოველწლიური საინფორმაციო ბიულეტენი ეგზავნება სამთავრობო უწყებებს, რეგიონების ხელმძღვანელებს, შსს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტს, ამასთან ქვეყნდება ორჰუსის ცენტრისა და ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე. მიუხედავად აღნიშნულისა, გამგეობების ხელმძღვანელები არ არიან სათანადოდ ინფორმირებულები ასეთი დოკუმენტის არსებობაზე და იშვიათად იყენებენ მას პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვაში.

### **18. ინფორმაციის გაგრძელება (3.0 ქულა)**

**მმართველობის ადგილობრივი ორგანოები აწვდიან თუ არა მოწყველად მოსახლეობას უახლეს და ადგილად გასაგებ ინფორმაციას კატასტროფებთან დაკავშირებულ საფრთხეებზე და პრევენციულ ღონისძიებებზე?**

„ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საგანგებო სიტუაციების შესახებ ინფორმაცია საჯაროა. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, რეგიონული და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და იურიდიული პირების ადმინისტრაციები ვალდებული არიან მოსახლეობას ოპერატიულად და გასაგებად მიაწოდონ ინფორმაცია მოსალოდნელი ან მომხდარი საგანგებო სიტუაციის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მათ შორის ინტერნეტით. აღნიშნული ინფორმაცია მოიცავს მონაცემებს საგანგებო სიტუაციის და შესაბამის ტერიტორიაზე არსებული საინჟინრო, რადიაციული, ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური, სახანძრო, ეკოლოგიური ვითარების, აგრეთვე, საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვის და მათი უსაფრთხოების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებთა თაობაზე.

ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენების პროგნოზის არსებობის შემთხვევაში მისი მიწოდება მოსახლეობისათვის ხდება დაუყოვნებლივ. თუმცა მოსახლეობა თითქმის არ არის ინფორმირებული მუნიციპალიტეტის დონეზე არსებული გეოლოგიური საფრთხეების, ასევე დაგეგმილი ან /და გატარებული პრევენციული ღონისძიებების შესახებ. ამასთან თემების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ მოსალოდნელი საფრთხეებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ სათანადო ინფორმირების შემთხვევაში, შეძლებდნენ უფრო აქტიურ ჩართვას პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში. თემების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ასევე არ არიან სათანადოდ ინფორმირებულები თუ როგორ მოიქცნენ საგანგებო სიტუაციებსა და ექსტრემალური ბუნებრივი მოვლენების დროს.

**19. სამთავრობო კოორდინაცია (3.5 ქულა)**

**მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ახდენენ თუ არა სტიქიური მოვლენების პრევენციული ქმედებების კოორდინაციას სხვა სამთავრობო უწყებებთან და სამინისტროებთან?**

საგანგებო სიტუაციებისას სხვადასხვა სამთავრობო უწყებებს შორის კოორდინაციის მექანიზმი მოცემულია როგორც საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ეროვნულ, ასევე მუნიციპალურ გეგმებში. საგანგებო შტაბების შემადგენლობაში, რომელიც იკრიბება დაუყოვნებლივ სტიქიური მოვლენის მოხდენის ან მისი საშიშროების შემთხვევაში, წარმოდგენილი არიან სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლები.

გამგეობებისა და საკრებულოების მიერ ხდება ერთობლივი შეხვედრების ორგანიზება სამინისტროებისა და სხვა უწყებების ტერიტორიული ორგანოების წარმომადგენლებთან სტიქიური მოვლენების შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით. იმ შემთხვევაში თუ ადგილობრივი რესურსები არ არის საკმარისი, გამგეობა და / ან საკრებულო მიმართავენ რეგიონალურ და ცენტრალურ ორგანოებს. მიუხედავად აღნიშნულისა შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმა არ არის ფართოდ გამოყენებული.

**20. პარტნიორობა (3.7 ქულა)**

**მმართველობის ადგილობრივი ორგანოები თანამშრომლობენ თუ არა თემებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კერძო სექტორთან, სამეცნიერო წრეებთან?**

კანონმდებლობის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს უფლება აქვთ საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილებისა და ამ სიტუაციით გამოწვეული შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებში მხარდაჭერის მიზნით ხელშეკრულება დადონ შესაბამის პირებთან, თუ მათი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალები და საშუალებები არ არის საკმარისი. საგანგებო შტაბების შემადგენლობაში წარმოდგენილი არიან წყალმომარაგების, ელექტროდისტრიბუციის, სატრანსპორტო და სატელეკომუნიკაციო

კომპანიების წარმომადგენლები, რომელთაც რეაგირების გეგმებით განსაზღვრული აქვთ კონკრეტული ფუნქციები. შედარებით შეზღუდულია მმართველობის ადგილობრივი ორგანოების თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სამეცნიერო წრეებთან.



#### IV. კონკრეტული მაგალითები

ანგარიშის ამ ნაწილში გაანალიზებულია რამდენიმე კონკრეტული შემთხვევა საქართველოში კატასტროფების რისკების მართვაში ადგილობრივ დონეზე მიღწეული პროგრესისა და ჯერ კიდევ არსებული პრობლემების ილუსტრირების მიზნით. ქვემოთ მოყვანილი მაგალითები მიუთითებენ, რომ პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვაში არსებულ პრობლემებზე, რისკის ქვეშ მყოფი თემების მცირე ჩართულობაზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, თვითმმართველობის ორგანოების, სათემო და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურობის მნიშვნელობაზე პრევენციული და რეაგირების ღონისძიებების განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებების მიღებაში.

##### *ქარსაფარი ზოლების რეაბილიტაცია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში*

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. მოსახლეობის 94% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში (ხორბლის მოყვანა და მეცხოველეობა). დედოფლისწყაროს რაიონი მდიდარია ნაყოფიერი მიწებითა და ვრცელი საძოვრებით, მაგრამ ღარიბია წყლის რესურსებითა და ატმოსფერული ნალექებით. ზაფხულის თვეებში ჰაერის ტემპერატურა აქ აღწევს 35-40°C, რაც ხანგრძლივ უნაღებო პერიოდებთან ერთად ხშირად იწვევს გვალვას. გახშირებული გვალვები და ძლიერი ქარები, მნიშვნელოვან ზიანს აყენებს დედოფლისწყაროს ეკონომიკის ერთადერთ განვითარებულ დარგს – სოფლის მეურნეობას. მოსახლეობა განიცდის მნიშვნელოვან ზარალს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრი შემცირების გამო (ხორბლის მოსავლიანობა რაიონში შემცირდა 1 ჰა-ზე 4 ტონიდან 2 ტონამდე). მუნიციპალიტეტის ეკონომიკისათვის სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალი ათეულ მილიონობით ლარს აღწევს. სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესების გამო 90-იანი წლების შემდგომ რაიონის ტერიტორია დატოვა დაახლოებით 7000-მდე ადამიანი, რაც საერთო მოსახლეობის 18%-ს შეადგენს.

სტიქიური მოვლენების გაძლიერება გამოწვეულია არა მხოლოდ ბუნებრივი ფაქტორებით, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის ზემოქმედებითაც. 90-იან წლების ენერგეტიკული კრიზისის გამო ადგილობრივმა მოსახლეობამ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გაჩენა თითქმის ყველა ქარსაფარი ზოლი (დაახლოებით 2 ათასი ჰექტარი) და ტყის საფარი, რათა დაეკმაყოფილებინა მოთხოვნა საწვავ შეშაზე. ტყის საფარი ამჟამად მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მხოლოდ 13%-ს შეადგენს (1991 წლამდე ტყით დაფარული იყო 5%). დეგრადირებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საძოვრების 80%.

გვალვისა და ქარისმიერი ეროზიის პრევენციული ღონისძიებების განხორციელება გახდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და ფერმერების უმთავრესი პრიორიტეტი, გაცნობიერებული იქნა რა მათგან გამოწვეული საფრთხეები ადგილობრივი ეკონომიკისათვის. ადგილობრივი მუნიციპალიტეტი აქტიურად ჩაერთო კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისათვის მეორე ეროვნული შეტყობინების მომზადების ფარგლებში განხორციელებულ კვლევებში (2007-2008 წლები), რომლებმაც დოკუმენტურად დაადასტურა, რაიონისთვის სტიქიური მოვლენებით გამოწვეული საფრთხეების რეალობა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი აღიარებული იქნა კლიმატის ცვლილების მიმართ ყველაზე მოწყვლად რაიონად საქართველოში.

ექსპერტული შეფასებების საფუძველზე ქარსაფარი ზოლებისა და ტყის საფარის აღდგენა განისაზღვრა როგორც ძირითადი პრევენციული ღონისძიება მიწის დეგრადაციის შესაჩერებლად, თუმცა მუნიციპალიტეტს არ გააჩნდა სათანადო რესურსები (ტექნიკური და ფინანსური) მის განსახორციელებლად. ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა დახმარებისათვის (საჭირო რესურსების მობილიზების მიზნით) მიმართა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ), რომელიც 2008 წლიდან საქართველოში ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია კლიმატის ცვლილებების ზემოქმედების შერბილება დეგრადირებული მიწების აღდგენის შესაბამისი მოდელების შემუშავებით, რაც მოიცავს: დეგრადირებული ქარსაცავების აღდგენას; დეგრადირებული

ტყიანი ტერიტორიების აღდგენას; საძოვრების მდგრად მართვას. პროექტი დაიგეგმა მუნიციპალიტეტის, ადგილობრივი ფერმერებისა და GIZ-ის ექსპერტების თანამშრომლობით. შეირჩა სადემონსტრაციო ადგილები. GIZ-ის ექსპერტების მიერ შემუშავებული იქნა ქარსაფარი ზოლებისა და ტყის კორომების აღდგენის ახალი მოდელები გერმანული გამოცდილების გათვალისწინებით, მათი დახმარებით დაინერგა ნერგების კონტინერული წესით გამოყვანის ახალი თანამედროვე ტექნოლოგია. ჩატარდა შეხვედრები მოსახლეობის ინფორმირების მიზნით. მდგრადობის უზრუნველსაყოფად, შეირჩა მიწის ის ნაკვეთები, რომელთა მფლობელებმაც გამოთქვეს მზადყოფნა გაეზიარებინათ ინვესტიცია.

2009 წლის თებერვლიდან დაიწყო სადემონსტრაციო პროექტის განხორციელება. მასში მონაწილეობა მიიღო ექვსმა ფერმერმა. მათ საკუთარი წვლილი შეიტანეს პროექტის განხორციელებაში - შელობეს აღდგენის ზოლები, იქირავეს მუშა-ხელი, შეიძინეს ნერგები, ამასთან აიღეს აღდგენილი ქარსაფარი ზოლების და ტყის კორომების შემდგომი მოვლა-პატრონობის პასუხისმგებლობა.

სადემონსტრაციო პროექტის შედეგად:

- აღდგენილი იქნა დეგრადირებული ქარსაფარი ზოლები დაახლოებით 38 ჰა ფართობზე, მხოლოდ ადგილობრივი სახეობის ხეებით (2010 წლის შემოდგომის მონაცემებით გაიხარა ნერგების 90%-მა).
- შემუშავდა ტყის აღდგენის მოდელი. 2010 წლის ნოემბრის თვეში დაახლოებით 100 ჰა-ზე გაშენდა ტყის კორომები (მხოლოდ ადგილობრივი, მათ შორის წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობებით). რეაბილიტირებული ადგილები ეკუთვნის სხვადასხვა მფლობელებს, მათ შორის სახელმწიფო სატყეო სააგენტოს, ადგილობრივ თემებსა და ინდივიდუალურ ფერმერებს.
- ჩატარდა საგანმანათლებლო სემინარები სკოლის მოსწავლეებისათვის, სკოლის მოსწავლეები ჩართული იქნენ ქარსაფარი ზოლებისა და ტყის კორომების აღდგენის ღონისძიებებში.
- საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტის მიერ დაიწყო საძოვრების მდგრადი მართვის სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხის განხილვა.

ბატონი გელა თეთრაული, დედოფლისწყაროს საკრებულოს გარემოს დაცვის, აგრარულ საკითხთა და ქონების მართვის კომისიის თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ 80-იანი წლების შემდგომ (უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში) ეს არის რაიონის გარემოს დეგრადაციის შეჩერებისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი, რომლის შედეგად:

- დედოფლისწყაროს მოსახლეობამ გააცნობიერა სტიქიური მოვლენების პრევენციული ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა, დაინახა მათი განხორციელების რეალური შესაძლებლობა და საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების პერსპექტივა;
- მნიშვნელოვნად გაიზარდა ფერმერთა რაოდენობა (40-მდე ფერმერი), რომლებიც დაინტერესებული არიან კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე ანალოგიური სამუშაოების განხორციელებით;
- ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდა პროექტის ღონისძიებებში (ქარსაფარი ზოლების აღდგენა და ტყის კორომების გაშენება) მონაწილეობის მიღებით;
- გაიზარდა ბავშვებისა და ახალგაზრდობის დაინტერესება და ჩართულობა, მათი ინიციატივითა და GIZ-ის ექსპერტების მონაწილეობით მოხდა სასკოლო ეზოების გამწვანება.

პროექტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან შედეგად ადგილობრივი მუნიციპალიტეტი აღნიშნავს მის დადებით ზეგავლენას მოსახლეობის მიგრაციის ტენდენციის შერბილებაზე და მაგალითად მოყავთ სოფელი ქვემო ქედა, სადაც 2010 წლიდან ფაქტიურად შეწყდა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ საცხოვრებელი სახლების გაყიდვა. ამას მუნიციპალიტეტის მიერ მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე მიმართულმა სხვა ღონისძიებებთან ერთად ხელი შეუწყო აღნიშნული პროექტის განხორციელებამ, რომელმაც დაარწმუნა მოსახლეობა საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესების რეალურ შესაძლებლობაში.

პროექტის წარმატებამ ხელი შეუწყო დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის თანამშრომლობის გაფართოებას GIZ-თან. პირველი წარმატებული პროექტის განხორციელების შემდგომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის და GIZ-ის მიერ დაიგეგმა თანამშრომლობის შემდგომი გაფართოება. იგეგმება ადგილობრივი ფერმერების შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება, რათა მიწის სწორი მენეჯმენტის საშუალებით მოხდეს მოსავლიანობის ზრდა.

ჩატარებული კვლევების თანახმად დედოფლისწყაროს რაიონში ქარსაფარი ზოლების აღდგენა უნდა მოხდეს 1800 ჰა ფართობზე. პროექტის ფარგლებში აღდგენილი იქნა მხოლოდ 38 ჰა (2,1%). თუმცა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს უკვე ხელთ აქვს ქარსაფარი ზოლების აღდგენისა და ტყის კორუმეების გაშენების ტექნიკურ-ეკონომიკური დოკუმენტაცია და სამოდელო სახელმძღვანელო, რომლის საფუძველზეც განხორციელდა წარმატებული სადემონსტრაციო პროექტი. მოსახლეობა დარწმუნდა თითქმის უდაბნოდ ქცეულ ადგილებში ნარგაობების გახარების რეალურ შესაძლებლობაში და მიიღო ამის შესაბამისი გამოცდილება. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს აქვს კარგი საფუძველი და შესაძლებლობა მოიზიდოს ახალი რესურსები როგორც ცენტრალური ბიუჯეტიდან, ისე დონორებიდან სტიქიური მოვლენების პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისათვის.

1. გაჩეხილი ქარსაფარი ზოლი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში
2. 3. 4. ქარსაფარი ზოლების აღდგენა ადგილობრივი სკოლების მოსწავლეების მონაწილეობით GIZ-ის პროექტის ფარგლებში
5. აღდგენილი ქარსაფარი ზოლი

*ფოტოსურათები მოწოდებულია GIZ-ის მიერ*





**რისკის ქვეშ მყოფი თემების შესაძლებლობების გაძლიერება აჭარაში პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით**

აჭარის რეგიონი სტიქიურ-გეოლოგიური პროცესების განვითარების მასშტაბებით და მათგან მიყენებული ნეგატიური შედეგებით, ქვეყნის ერთ-ერთ ურთულეს მხარეს წარმოადგენს. ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში მოსახლეობის 70%-მდე დასახლებულია გეოეკოლოგიურად კრიზისულ ტერიტორიაზე. ამ მუნიციპალიტეტებში ყოველწლიურად მეწყერებისა და ზეგავების გამო ზიანდება ათეულობით საცხოვრებელი სახლი და საკარმიდამო ნაკვეთი. ხოლო ზაფხულის განმავლობაში აღინიშნება წყლის რესურსების დიდი ნაკლებობა, რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს სოფლის მოსახლეობის შემოსავლებზე. მიუხედავად აღნიშნულისა, ადგილობრივ ბიუჯეტში არ გამოიყოფა საკმარისი თანხები ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირებაზე და არსებული ფინანსური რესურსები ძირითადად დაზიანებული ქონების კომპენსაციას ხმარდება. ძალიან შეზღუდულია მოსახლეობის შესაძლებლობები ზეგავლენა მოახდინოს მმართველობის ადგილობრივ ორგანოების გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე კატასტროფების რისკების შემცირების თვალსაზრისით.

2010 წლიდან ხულოს, ქედასა და შუახევის მუნიციპალიტეტების 22 თემში მუშაობა დაიწყო Oxfam GB-მ სტიქიური უბედურებებისადმი მათი მზადყოფნის ამაღლების მიზნით

სათემო კავშირებზე დამყარებული ინსტიტუციონალიზებული მოდელის გამოყენებით. ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასთან „შავი ზღვის ეკოკადემიასთან“ თანამშრომლობით ჩატარდა ტრენინგები სათემო კავშირებისათვისა და სკოლის მასწავლებლებისათვის მობილიზაციის, სამოქმედო გეგმების შედგენისა და ადვოკატირების საკითხებში; ლობისტური კამპანიების წარმოებისათვის სამ მუნიციპალიტეტში შეიქმნა და ოფიციალურად დარეგისტრირდა 22 ლობისტი, რომლებიც წარმოადგენენ ყველა სოფელს. სოფლებში ჩამოყალიბდა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფები. განხორციელებულმა ქმედებებმა დადებითი ზეგავლენა მოახდინა თემების გააქტიურებაზე. კვაშტას თემმა საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფის ხელმძღვანელის ინიციატივით არსებული რისკების შეფასების შედეგად გამოავლინა სათემო პრიორიტეტები, რომელთა შორის იყო წყლის რეზერვუარების მშენებლობა.

სოფლისა და Oxfam-ის რესურსები მხოლოდ ერთი რეზერვუარის ასაშენებლად იყო საკმარისი, მაგრამ სოფლის ლობისტმა წარმატებული მოლაპარაკებების შედეგად შეძლო ადგილობრივი თვითმმართველობის თანადაფინანსების მოპოვება. გატარებული ღონისძიებების შედეგად აშენდა წყლის სამი რეზერვუარი, რომლებმაც სოფელი უზრუნველყო სასმელი და სარწყავი წყლით ზაფხულის პერიოდში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი სოფლის მეურნეობისათვის.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც თემის არჩეულმა ლობისტმა ადვოკატირება გაუწია სათემო პროექტს და მიაღწია დადებით შედეგს. ამ მაგალითით წახალისებულმა მოსახლეობამ შეიმუშავა ახალი პროექტები პრევენციული ღონისძიებების განსახორციელებლად, რომლებიც ლობისტმა წარადგინა ადგილობრივ თვითმმართველობაში. ასევე უჩვეულო იყო თვითმმართველობის მიერ პროექტის მხარდასაჭერად გამოჩენილი ენთუზიაზმი, რომლის შედეგადაც თემმა დაფინანსება მიიღო საკმაოდ მოკლე ვადაში, რაც ასევე იშვიათია საქართველოში. ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, აგრეთვე, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელების მიერ ბუნებრივი კატასტროფის რისკების შემცირებაზე მიმართული ღონისძიების მნიშვნელობის გაცნობიერება და მათი აქტიური მონაწილეობა. ახლადარჩეული გამგებლისათვის ეს პროექტი იყო ხელსაყრელი შემთხვევა ეჩვენებინა ამომრჩევლებისათვის მისი ქმედითუნარიანობა და მონდომება.

კვაშტას ანალოგიურად ქედას, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტების სხვა სოფლებშიც თემების მიერ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ადგილობრივი ჯგუფების ხელმძღვანელობით მომზადდა სტიქური მოვლენების პრევენციაზე მიმართული რამდენიმე მცირემასშტაბიანი პროექტი, რომლებიც განხორციელდება თვითმმართველობების მხარდაჭერით.

წყლის რეზერვუარის აღდგენა კვაშტას თემში  
ფოტოსურათები მოწოდებულია *Black Sea Eco Academy-ის* მიერ





**დამეწერილი გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია გუდამაყარში**

2010 წლის 30 ივნისს დუშეთის მუნიციპალიტეტის გუდამაყარის თემში, სოფელ მაქართასთან ჩამოწვა მეწყერი, რომელმაც გადააკეტა თემის 22 სოფლის 360 ოჯახთან მიმავალი ერთადერთი საავტომობილო გზა. მოსახლეობა გარესამყაროდან მოწყვეტილი იყო 2 კვირის განმავლობაში. საკვები პროდუქტებისა და მედიკამენტების მიწოდება მხოლოდ ვერტმფრენით ხერხდებოდა. ადგილობრივი ხელისუფლება და მოსახლეობა მოუშადადებელი აღმოჩნდა მსგავსი მასშტაბის მოვლენისათვის.

გუდამაყარის თემის რწმუნებულის ნელი ბექაურისა და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ ორგანიზებული იქნა სათემო შეხვედრები, რომლებზეც მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე განცხადებები გაიგზავნა მუნიციპალიტეტის გამგეობაში, გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროში, რათა შესწავლილიყო სიტუაცია და მიღებულიყო შესაბამისი ზომები პრობლემის აღმოსაფხვრელად. ამასთან CENN-ის მიერ ორგანიზებული იქნა პრესტური და თემში არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა ცენტრალური და ადგილობრივი მედია საშუალებებით, რასაც სწრაფად მოჰყვა რეაგირება მთავრობის მხრიდან.

დუშეთის მუნიციპალიტეტისა და მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციებმა მიმართეს ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროს სათანადო ფინანსური და ტექნიკური დახმარების აღმოჩენისათვის. ადგილობრივი ხელისუფლების მოთხოვნისა და სამინისტროს რეკომენდაციის საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს პრემიერ მინისტრის ბრძანებულებით გამოიყო 949 000 ლარი დაზიანებული გზის მონაკვეთის აღსადგენად. გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალიტების მიერ შესწავლილი იქნა გეოლოგიური მდგომარეობა, რომლის საფუძველზეც მომზადდა სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი. შედეგად გზის დაზიანებული უბნის პარალელურად გაიჭრა ახალი გზა, ასევე მდ. არაგვის ნაპირზე დამონტაჟდა ნაპირდამცავი კონსტრუქციები. მაგრამ სარეაბილიტაციო სამუშაოები ისე განხორციელდა, რომ მოსახლეობას არ მიაწოდეს ინფორმაცია პროექტის შესახებ და არ გაითვალისწინეს მისი აზრი ახალი მარშრუტის გატარებისას. ასევე, არსებობს ინფორმაცია, რომ სამუშაოები დაიგეგმა და განხორციელდა გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგების მიერ მომზადებული დასკვნის გაუთვალისწინებლად. ყოველივე ამან კი ადგილობრივ მოსახლეობას გზის რეაბილიტაციის შემდეგ ახალი პრობლემები მოუტანა: გზის ახალი მონაკვეთი გადის დამეწერილი უბნის ქვედა ნაწილში, სადაც დიდია ახალი მეწყერის ჩამოწოლის ალბათობა. ამასთან, გზის მარშრუტის ცვლილების შედეგად წარმოიქმნა ციცაბო აღმართი, რომლის გავლაც ზამთრის პერიოდში პრაქტიკულად შეუძლებელია. შედეგად, თემის მოსახლეობას გადაადგილება რეაბილიტირებულ გზაზეც შეუძლებელია. ჩატარებული სამუშაოების შედეგად პრობლემა სრულად ვერ იქნა გადაჭრილი პროექტის მომზადებისა და განხორციელების დროს დაინტერესებული მხარეების არასრულყოფილი ჩართულობის გამო.

მოცემული შემთხვევის გაანალიზებით ვლინდება კატასტროფების რისკების მართვასთან დაკავშირებული რამდენიმე საკვანძო საკითხი და პრობლემა:

- მუნიციპალურ დონეებზე სრულად არ არის იდენტიფიცირებული ის ბუნებრივი და / ან ტექნოგენური საფრთხეები, რომლებიც შესაძლებელია ემუქრებოდეს მოსახლეობას, ასევე მოწყვლადი ტერიტორიები და მოსახლეობა, რაც მნიშვნელოვნად ართულებს პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას და მათი განხორციელების აუცილებლობის დასაბუთებას;
- ადგილობრივ ხელისუფლებას არ აქვს შესაბამისი გამოცდილება და შესაძლებლობა გაუმკლავდეს მსგავს საფრთხეებს;
- შეუზღუდელია მოსახლეობის ჩართულობა თვითმმართველობაში, არ ხდება თემების ჩართვა და ინფორმირება კონკრეტული პროექტების თუ საქმიანობების დაგეგმვის,



შესრულებისა და მონიტორინგის პროცესში, ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილებები მიიღება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებისა და მოთხოვნების უზულებელყოფით.

- საქართველოს რეალობიდან გამომდინარე, ზემოთ მოყვანილი მაგალითი არის წინგადადგმული ნაბიჯი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის. ადგილობრივი მოსახლეობის, არასამთავრობო ორგანიზაციისა და მედიის ეფექტური თანამშრომლობის შედეგად მიღწეულ იქნა სამთავრობო სტრუქტურების მხრიდან სწრაფი რეაგირების მოხდენა და ადეკვატური დაფინანსების გამოყოფა პრობლემის მოსაგვარებლად, რაც კატალიზატორი უნდა გახდეს მოქალაქეების გააქტიურებისა და მსგავსი თანამშრომლობის სხვა მაგალითების შექმნისათვის. მოსახლეობამ მიიღო კარგი გამოცდილება და ცოდნა, თუ როგორ იქონიონ კავშირი სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, რომელ სტრუქტურას რა პასუხისმგებლობა გააჩნია და როგორ მოითხოვონ მისი აღსრულება.

დამეწერილი გზის მონაკვეთის აღდგენა გუდამაყარის თემში  
*ფოტოები მოწოდებულია CENN-ის მიერ*



## V. დასკვნები და რეკომენდაციები

2005 წლის შემდგომ საქართველოში აღინიშნება გარკვეული პროგრესი კატასტროფების რისკების მართვაში, რაც გამოიხატება ეროვნულ დონეზე სტრატეგიული, სამართლებრივი და მარეგულირებელი დოკუმენტების მიღებასა და და რისკებზე რეაგირებასთან დაკავშირებული სტრუქტურების შესაძლებლობების გაძლიერებაში. კატასტროფების რისკების მართვის მნიშვნელობა მეტ-ნაკლებად გაცნობიერებულია მმართველობის როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე.

მაგრამ კატასტროფების რისკის მართვის პოლიტიკა და მექანიზმები ჯერ კიდევ საჭიროებს მნიშვნელოვან განვითარებას. ამჟამად კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოს მთავრობის მიერ არ განიხილება, როგორც პრიორიტეტული მიმართულება და სიღარიბის დაძლევის ან კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის ერთ-ერთი საშუალება. სტრატეგიული, სამართლებრივი და მარეგულირებელი აქტები ფოკუსირებულია მხოლოდ მომხდარ ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირებასა და მათი შედეგების ლიკვიდაციაზე, მაშინ როცა თითქმის არ ეხებიან ბუნებრივი კატასტროფების რისკების პრევენციისა და შემცირების საკითხებს. კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული მონიტორინგისა და ადრეული შეტყობინების სისტემების არსებობის ვალდებულება, არ არის დადგენილი მათი პარამეტრები და სტანდარტები, არ მახვილდება ყურადღება ძირითად და ხშირად განმეორებად ბუნებრივ კატასტროფებზე. ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირებაში ინვესტირების ხანგრძლივადიანი ეკონომიკური სარგებლის გაუთვალისწინებლობა და დაყრდნობა გარე დახმარებაზე ახასიათებს ამ სფეროში პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესს.

გარკვეული წინსვლა აღინიშნება კატასტროფების რისკების მართვის სფეროში მმართველობის ადგილობრივი ორგანოებსა და ადგილობრივ თემებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და კერძო სექტორს შორის პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ასევე გარკვეულწილად გაუმჯობესდა კოორდინაცია ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა სამთავრობო უწყებებს შორის.

მოსახლეობას აქვს საშუალება მიმართოს მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს და მოითხოვოს სტიქიური მოვლენებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება. ადგილობრივ დონეზე მოქმედებს ზარალის შეფასებისა და კომპენსაციის გაცემის მექანიზმები. მიუხედავად აღნიშნულისა, მიღებულ კომპენსაციას მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში მიიჩნევს არაადეკვატურად. აღინიშნება შემთხვევები, როცა დაზარალებული მოსახლეობისათვის გადაცემული საკომპენსაციო თანხები გამოიყენება არადანიშნულებისამებრ და მოსახლეობა სახელმწიფოდან დამატებით ითხოვს ფინანსურ დახმარებას. ზოგჯერ მოსახლეობისათვის არასარწმუნოა თვითმმართველობის ორგანოდან მიღებული რეკომენდაცია მოსალოდნელი გეოლოგიური საფრთხის გამო საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის თაობაზე. არა ადეკვატურ კომპენსაციასთან ერთობლივად ნდობის დაბალი დონე ხშირად ხდება მოსახლეობის მიერ თვითმმართველობის ორგანოებიდან მიღებული რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობის მიზეზი. შესაბამისად, არსებობს მიყენებული ზარალის შეფასებისა და კომპენსაციების გაცემის გამჭვირვალე მექანიზმის შემუშავების აუცილებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 2-3 წლის განმავლობაში როგორც ცენტრალური სამთავრობო უწყებების, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული იქნა ტრენინგები კატასტროფების რისკების მართვაში, როგორც თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელთათვის, ისე რისკის ქვეშ მყოფი თემებისათვის, გამოკითხულთა უმეტესი ნაწილი ყველაზე დაბალი ქულებით აფასებდა პროგრესს სწორედ ამ ინდიკატორის მიხედვით. ამასთან აღინიშნებოდა, რომ მართალია, თვითმმართველობის ორგანოებს გარკვეულწილად გაცნობიერებული აქვთ კატასტროფების რისკების მართვასა და პრევენციაში ტრენინგების ჩატარების მნიშვნელობა, მაგრამ ფინანსური და ადამიანური რესურსების ნაკლებობის გამო, მათ მიერ არ ხდება ასეთი ღონისძიებების ორგანიზება.

პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის არ არსებობისა და მათი განხორციელების ძირითადი ბარიერია ადგილობრივ დონეზე ფინანსური რესურსების არ არსებობა. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში არსებული მწირი თანხები საკმარისია მხოლოდ სპონტანური, მცირე მასშტაბიანი (წერტილოვანი) და დროებითი სამუშაოების განსახორციელებლად, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსახლეობის სიცოცხლისათვის საშიში მდგომარეობა. ადგილობრივ თვითმმართველობას არ გააჩნია არც სათანადო ფინანსური რესურსები, არც შესაბამისი სპეციალისტები და ტექნიკა კაპიტალური სამუშაოების წარმოებისათვის, რომლის შედეგადაც აღმოიფხვრებოდა არსებული საფრთხეები და / ან მათი გამომწვევი მიზეზები.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში ბუნებრივი კატასტროფების რისკების მართვის სფეროში მიღებული იქნა სამართლებრივი და მარეგულირებელი აქტები, არსებული საკანონმდებლო ბაზა საჭიროებს შემდგომ განვითარებას, განსაკუთრებით კატასტროფების რისკების პრევენციაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების მკაფიოდ განსაზღვრის მიმართულებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით კატასტროფების რისკების მართვაში პოზიტიური ცვლილებებისა და ხელშესახები შედეგების მისაღწევად შემუშავებული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

#### **კანონმდებლობის შემდგომი განვითარება:**

- მუნიციპალიტეტების დონეზე პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა, მათი განხორციელების მონიტორინგი და შესაბამისი ანგარიშგება, რისკის ქვეშ მყოფი თემებისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით, უნდა გახდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კანონით განსაზღვრული ვალდებულება.
- სათანადო კვლევის საფუძველზე უნდა დამუშავდეს წამახალისებელი ღონისძიებები განსაკუთრებული რისკის ზონაში მცხოვრები მაღალი მთის მოსახლეობისათვის და შემუშავდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.
- არსებულ კანონმდებლობაში შესწორებების შეტანა ეკომიგრანტთა სტატუსის, უფლებებისა და ვალდებულებების დამატებით, შიდა ადგილნაცვალობასთან დაკავშირებით გაეროს სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

#### **დაინტერესებულ მხარეებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება:**

- ეროვნულმა უშიშროების საბჭომ უნდა უზრუნველყოს კოორდინაციის არსებული მექანიზმების (როგორცაა საქართველოს წითელი ჯვრის, UNDP-ისა და Oxfam-ის მიერ ჩამოყალიბებული ჯგუფები) შესაბამისი ჩართვა ეროვნული პლატფორმის ახალ სტრუქტურაში, რაც ხელს შეუწყობს ძალისხმევათა დუბლირების აცილებას, ინფორმაციის ეფექტურ გაზიარებას, აგრეთვე, არსებულ რესურსებსა და დაინტერესებულ პირთა ცოდნაზე დაფუძნებული ეროვნული დაგეგმვის განვითარებას;
- უშიშროების ეროვნულმა საბჭომ უნდა უზრუნველყოს, რომ ახლად ჩამოყალიბებული პლატფორმაში წარმოდგენილი იყოს ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის შესაბამისი სამინისტროები, სამოქალაქო საზოგადოება (ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები), სამეცნიერო და კერძო სექტორი; განსაზღვროს პლატფორმის წევრთა როლი და პასუხისმგებლობები გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილებათა მიხედვით.
- არსებული საკოორდინაციო მექანიზმების კურატორებმა განსაზღვრონ ჯგუფების მკაფიო როლი და ეროვნულ საბჭოში წარმომადგენლების სია და მიაწოდონ ეროვნული უშიშროების საბჭოს.

- მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ყველა შესაბამისი სამინისტროს როლი და პასუხისმგებლობები კატასტროფების რისკების მართვაში, როგორც ეროვნულ, ისე რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეებზე.
- „ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმაზე“ დაყრდნობით შესაბამისი სტრუქტურის ხელმძღვანელობით უნდა შემუშავდეს კატასტროფების რისკების მართვის ეროვნული გეგმა, რომელიც მოიცავს პრევენციულ და შემარბილებელ ქმედებებს.

**დაგეგმვა**

- ადგილობრივი თითმმართველობების მიერ მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველყოფა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმების შემუშავების ყველა ეტაპზე.
- ეკოლოგიური მიგრანტების მდგომარეობის კვლევის საფუძველზე სპეციალური სამოქმედო გეგმის შემუშავება გადაუდებელი გადასახლებებისათვის და ეკომიგრანტთა საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის და შესაბამისი რესურსების გამოყოფა მის განსახორციელებლად.
- პრევენციული ღონისძიებების ადეკვატური დაგეგმვისათვის მნიშვნელოვანია ბუნებრივი კატასტროფების საშიშროების რუკების შემუშავება რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეებზე. ასეთი რუკების არსებობა ხელს შეუწყობს განვითარების პროექტებისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის დაგეგმარებას არსებული რისკების გათვალისწინებით, მოსახლეობის ინფორმირების დონის ამაღლებას და მის უფრო ეფექტურ ჩართვას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ადგილობრივ დონეზე „ცხელი წერტილების“ გამოვლენას, რომელზედაც უპირატესად უნდა იქნას მიმართული რესურსები.

**ფინანსური რესურსები:**

- არასამთავრობო ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერებას იმ მიზნით, რომ სრულად იყვნენ ინფორმირებულები სახელმწიფო ბიუჯეტის განაწილების არსებულ მექანიზმებსა და მათთვის ხელმისაწვდომ რესურსებზე და შეძლონ კატასტროფების რისკებისადმი მოსახლეობის მზადყოფნის ამაღლების ადგილობრივი პროგრამების და / ან პროექტების შემუშავება და მათ განსახორციელებლად შესაბამისი დაფინანსების მოძიება სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
- სახელმწიფო ბიუჯეტში მკაფიოდ უნდა იქნეს ასახული ბუნებრივი კატასტროფების რისკების პრევენციასა და რეაგირებაზე გამოყოფილი ფინანსური რესურსები, მათ შორის ადგილობრივ დონეზე.
- უნდა შემუშავდეს მიყენებული ზარალის შეფასებისა და კომპენსაციების გაცემის გამჭვირვალე მექანიზმი.

**ინფორმირება, ცნობიერების ამაღლება და შესაძლებლობების გაძლიერება:**

- თვითმმართველობის ორგანოებისა და რისკის ქვეშ მყოფი თემების ინფორმირების, ცნობიერებისა და შესაბამისი უნარების ამაღლებაზე მიმართული სასწავლო და საწვრთნელი კურსების სისტემატური ორგანიზება, შესაბამისი საინფორმაციო და საგანმანათლებლო მასალების მომზადება და გავრცელება საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამთავრობო უწყებების თანამშრომლობით.
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება პრიორიტეტული ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში მათი ჩართულობის შესაძლებლობების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო

ორგანიზაციების დახმარებით. პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვაში რისკის ქვეშ მყოფი თემების ჩართულობის, ასევე მათ განხორციელებაზე მონაწილეობითი მონიტორინგისა და თვითმმართველობის ორგანოების ანგარიშგების გაძლიერების მიზნით მნიშვნელოვანია მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობის ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებების განხორციელება, როგორცაა თემების მობილიზაცია და სათემო საკოორდინაციო მექანიზმების ჩამოყალიბება.

### რისკების შეფასება:

- უნდა შემუშავდეს და მუნიციპალიტეტების მიერ მიღებული უნდა იქნეს რისკების შეფასების ერთიანი მეთოდოლოგია, არსებული მეთოდოლოგიების მიხედვით, რომლებიც ამჟამად გამოიყენება სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ;
- გარემოს ეროვნული სააგენტოს შემდგომი განვითარების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა ბუნებრივი კატასტროფების ადრეული შეტყობინების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნეს რისკებისა და მოწყვლადობის სისტემატური მონიტორინგი.
- რისკების შეფასებისა და მათი შემცირების საკითხი ჩართული უნდა იქნეს განვითარების გეგმებსა და პროგრამებში, უზრუნველყოფილი უნდა მათი გარემოზე ზემოქმედების სრული შეფასების ჩატარება, რომელიც მოიცავს სტიქიური მოვლენების რისკების შეფასებასა და მათი შემცირების ღონისძიებების დასახვას.

**დანართი 1**

**დანართი 1. მონაცემები რესპოდენტების შესახებ**

ასაკობრივი ჯგუფი	< 11	12-17	18-25	26-60	60-ზე მეტი ხნის
რესპოდენტთა რაოდენობა		24	47	223	32
სქესი	მამაკაცი		ქალი		
რესპოდენტთა რაოდენობა	185		141		
დასახლების ტიპი	სოფელი		ქალაქი		
რესპოდენტთა რაოდენობა	247		79		
	მმართველობის ადგილობრივი ორგანო	თემი	არასამთავრობო ორგანიზაცია	სხვა	
რესპოდენტთა რაოდენობა	85	212	16	13	

**დანართი 2. ინფორმაცია მუნიციპალიტეტების მიხედვით საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმების არსებობის შესახებ<sup>11</sup>**

	მუნიციპალიტეტები	მომზადებულია	დამტკიცებულია
<b>კახეთი</b>			
1.	ახმეტა		+
2.	გურჯაანი		+
3.	დედოფლისწყარო		+
4.	თელავი		+
5.	ლაგოდეხი		+
6.	საგარეჯო		+
7.	სიღნაღი		+
8.	ყვარელი	+	
<b>მცხეთა-მთიანეთი</b>			
9.	დუშეთი	-	
10.	თიანეთი	-	
11.	მცხეთა	-	
12.	ყაზბეგი	-	
<b>შიდა ქართლი</b>			
13.	გორი	-	
14.	ქარელი	-	
15.	კასპი	-	
16.	ხაშური	-	
<b>ქვემო ქართლი</b>			
17.	ბოლნისი	-	
18.	მარნეული	-	

<sup>11</sup> წყარო: საქართველოს შინაგა საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის წერილი კავკასიის რეგიონალური გარემოსდაცვითი ცენტრისადმი (RECC), №264042, 04.03.2011

19.	გარდაბანი	-	
20.	ღმანისი	+	
21.	თეთრი წყარო	+	
22.	წალკა	-	
<b>იმერეთი</b>			
23.	წყალტუბო	-	
24.	ტყიბული	-	
25.	ჭიათურა	-	
26.	ბადდათი	-	
27.	ვანი	-	
28.	ზესტაფონი	-	
29.	თერჯოლა	-	
30.	სამტრედია	-	
31.	საჩხერე	-	
32.	ხარაგაული	-	
33.	ხონი	-	
<b>სამცხე-ჯავახეთი</b>			
34.	ადიგენი	+	
35.	ახალციხე	+	
36.	ახალქალაქი	+	
37.	ბორჯომი		+
38.	ნინოწმინდა		+
39.	ასპინძა	+	
<b>სამეგრელო-ზემო სვანეთი</b>			
40.	ზუგდიდი	+	
41.	აბაშა	+	
42.	მარტვილი	+	
43.	მესტია	+	
44.	ჩხოროწყუ	+	
45.	სენაკი	+	
46.	წალენჯიხა	+	
47.	ხობი	+	
<b>გურია</b>			
48.	ლანჩხუთი		+
49.	ოზურგეთი	+	
50.	ჩოხატაური		+
<b>რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი</b>			
51.	ამბროლაური		+
52.	ლენტეხი		+
53.	ონი	+	
54.	ცაგერი		+
<b>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა</b>			
55.	ქობულეთი	+	
56.	შუახევი	+	
57.	ხელვაჩაური	+	
58.	ქედა	+	
59.	ხულო	+	

დანართი 3. კითხვარი კვლევისათვის „ხეღვა წინახაზიდან – 2011“

ნაწილი 1:  
პირითადი ინფორმაცია

ქვეყანა: საქართველო

1	გამოკითხვის თარიღი					
2	გამოკითხვის ნომერი					
3	მონაწილე ორგანიზაცია					
4	რესპოდენტის ასაკი	< 11	12-17	18-25	26-60	61-ზე ზემოთ
5	სქესი	მამაკაცი			ქალი	
6	ჯგუფი და პროფესია	ადგილობრივი მმართველობა	თემი	არასამთავრობო ორგანიზაცია	სხვა	
7	რაიონი					
8	დასახლების ტიპი	ქალაქი			სოფელი	
9	კატასტროფებთან დაკავშირებული საფრთხეების გაცნობიერება თქვენს რაიონში	1 (მინიმალური)	2 (მცირე)	3 (საშუალო)	4 (მაღალი)	5 (მაღიან მაღალი)
10	2005 წლის შემდეგ ცვლილებები თქვენს რაიონში კატასტროფებით გამოწვეულ დანაკარგებში	1 (დანაკარგების მნიშვნელოვანი ზრდა)	2 მცირე ზრდა	3 ცვლილება არ არის	4 უმნიშვნელო შემცირება	5 მნიშვნელოვანი შემცირება



**ნაწილი 2. ადგილობრივი მმართველობა**

თქვენი აზრით რა პროგრესი იქნა მიღწეული შემდეგი ინდიკატორების მიხედვით:

	ინდიკატორი	კითხვა	შეფასება ქულებით 1-5 მდე ან X – თუ პასუხი არის არ ვიცი
1.1	მონაწილეობა	კატასტროფების პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ადგილობრივი მთავრობა რთავს თუ არა მოსახლეობას, განსაკუთრებით მოწყველად და მარგინალურ (საზოგადოებაში რაღაცა ნიშნით განსხვავებული ან შეზღუდული სოციალური ჯგუფი) ჯგუფებს?	
1.2	გენდერი	უზრუნველყოფს თუ არა ადგილობრივი მთავრობა ქალთა და მამაკაცთა თანაბარ მონაწილეობას კატასტროფების პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში?	
1.3	ბავშვები და ახალგაზრდობა	კატასტროფების პრევენციაში ადგილობრივი მთავრობა ითვალისწინებს თუ არა ბავშვებისა და ახალგაზრდების სპეციფიკურ საჭიროებებს?	
1.4	მოხალისეები	კატასტროფების პრევენციაში მხარს უჭერს თუ არა ადგილობრივი მთავრობა მოხალისეების მონაწილეობას?	
1.5	პოლიტიკა	ადგილობრივი მთავრობა რეგულარულად ახდენს თუ არა კატასტროფების პრევენციის პოლიტიკის გადახედვას, რათა უზრუნველყოს საზოგადოების მოწყველადი ფენების დაცვა (მოხუცები, ეთნიკური უმცირესობები, ბავშვები და ახალგაზრდები, ინვალიდები, მიგრანტები)	
1.6	ადგილობრივი შესაძლებლობები	კატასტროფების პრევენციაში ითვალისწინებს თუ არა ადგილობრივი მთავრობა ადგილობრივი და მკვიდრი მოსახლეობის ცოდნას, ჩვევებს, რესურსებს?	
1.7.	დაგეგმვა	აქვს თუ არა ადგილობრივი მთავრობას კატასტროფების პრევენციის პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელების გეგმა?	
1.8	ფინანსური რესურსები	აქვს თუ არა ადგილობრივი მთავრობას ადეკვატური ბიუჯეტი კატასტროფების პრევენციისათვის?	
1.9.	დეცენტრალიზაცია	მკაფიოდაა განსაზღვრული თუ არა ადგილობრივი მთავრობის ოფიციალურ პირებს როლი და პასუხისმგებლობა კატასტროფების პრევენციაში?	
1.10	ექსპერტიზა (გამოცდილება)	აქვს თუ არა ადგილობრივი მთავრობას საკმარისი ექსპერტიზა კატასტროფების პრევენციაში?	
1.11	სწავლება	ატარებს თუ არა ადგილობრივი მთავრობა კატასტროფების პრევენციის ტრენინგს მოხელეებისათვის, თემებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისათვის?	
1.12	საბაზისო დონე	ადგილობრივმა მთავრობამ დაადგინა თუ არა საბაზისო დონე, რომელთანაც შედარებით განსაზღვრავს პროგრესს კატასტროფების პრევენციაში?	
1.13	მონიტორინგი	ადგილობრივი მთავრობა რეგულარულად უწევს თუ არა მონიტორინგს და ამზადებს ანგარიშებს კატასტროფების პრევენციის თაობაზე?	
1.14	მონაწილეობითი მონიტორინგი	ადგილობრივი მთავრობა რთავს თუ არა თემებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს კატასტროფების პრევენციის მონიტორინგში?	
1.15	გასაჩივრების პროცედურა	ადგილობრივი მთავრობა ქმნის თუ არა იმის შესაძლებლობას, რომ მოსახლეობას შეეძლოს ინიციალს და მიიღოს პასუხი?	
1.16	ინფორმაციის შეგროვება	ადგილობრივი მთავრობა რეგულარულად კრებს, განიხილავს და არუკებს ინფორმაციას კატასტროფების საფრთხეებზე და კლიმატის ცვლილებაზე?	
1.17	ინფორმაციის მართვა	ლოკალური ქმედებების ინფორმირებული დაგეგმვისთვის ადგილობრივი მთავრობა ითვალისწინებს თუ არა როგორც ტრადიციულ, ისე სამეცნიერო ცოდნას?	
1.18	ინფორმაციის გავრცელება	ადგილობრივი მთავრობა აწვდის თუ არა მოწყველად მოსახლეობას უახლეს და ადვილად გასაგებ ინფორმაციას კატასტროფებთან დაკავშირებულ საფრთხეებზე და პრევენციულ ღონისძიებებზე?	
1.19	სამთავრობო კოორდინაცია	ადგილობრივი მთავრობა ახდენს თუ არა სტიქიური მოვლენების პრევენციული ქმედებების კოორდინაციას სხვა სამთავრობო უწყებებთან და სამინისტროებთან?	
1.20	პარტნიორობა	ადგილობრივი მთავრობა თანამშრომლობს თუ არა თემებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კერძო სექტორთან, სამეცნიერო წრეებთან?	

## კომენტარები

ზემოთ მოცემული კითხვების შესაბამისად შეგიძლიათ თუ არა მოიყვანოთ სტიქიური მოვლენების პრევენციაში ადგილობრივი მართვის დადებითი მაგალითი ან დაასახელოთ ხარვეზები?

კითხვის ნომერი	კომენტარი

## ბანმარტებები: ზოგადი ნაწილი

ბანმარტებები მოიცავს სპეციფიკურ საკითხებს, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს სხვადასხვა სიტუაციებში ინდიკატორების მიხედვით პროგრესის შეფასებისათვის. ამ ნაწილში მოცემულია ტერმინებისა და კონცეფციების განმარტებები, სახელმძღვანელო სიძველეების დასაძლევად და კრიტიკულ საკითხებთან დაკავშირებით, სპეციფიკური რჩევები თუ როგორ უნდა შეფასდეს პროგრესი ცალკეული ინდიკატორების მიხედვით 1-დან 5-მდე ქულების სისტემით. იგულისხმება, რომ ინტერვიუები სვამს შეკითხვას (და საჭიროების შემთხვევაში განმარტავს მას), ხოლო რესპოდენტი აფასებს პროგრესს 1-დან 5-მდე ქულებით და წარმოადგენს შესაბამის მასალებს.

**1. კატასტროფების საფრთხეების გაცნობიერება:** გაცნობიერება არის მნიშვნელოვანი, ვინაიდან მოსახლეობის ქმედებების საფუძველია მოვლენების მიხედვითი ხედვა, აღქმა და გაცნობიერება - თუ როგორ აღიქვამენ ცალკეული პირები სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებულ საფრთხეებს, მათ სიხშირეს, ინტენსივობას და ზეგავლენას. მოსახლეობის მიერ სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებული საფრთხეების აღქმა/გაცნობიერება განსაზღვრავს მის შესაძლებლობას უზრუნველყოს უსაფრთხოება და მდგრადობა. მოსახლეობის გამოცდილების, ცოდნის, შეხედულებების, დამოკიდებულებებისა და გონიერების ინდივიდუალური და კულტურული სხვადასხვაობა განაპირობებს რისკების მენეჯმენტს.

**2. ინდიკატორები:** არსებობენ „სიგნალები“, რომლებიც გვიჩვენებენ ეფექტური ადგილობრივი მართვის ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც მიიხსნება მნიშვნელოვან პლატფორმად სტიქიური მოვლენების რისკების შემცირებაში. ისინი გვიჩვენებენ პროგრესის გაზომვისა და კომუნიკაციის გზებს, რათა მიღწეული იქნეს სრულყოფილი მართვა. ინდიკატორები არიან უნივერსალური ყველა კონტექსტში. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ისინი არიან ადგილობრივი მართვის ფუნქციებისა და მახასიათებლების ერთიანი კომპლექტი. რეალურად, რა თქმა უნდა სხვადასხვა პირების მიერ ფუნქციების შესრულება ხდება სხვადასხვაგვარად, სხვადასხვა აქცენტებით.

VFL 2011-ში მონაწილეებს შეიძლება დასჭირდეთ ინდიკატორების მოდიფიცირება, რათა ისინი უფრო შესაბამისი გახადონ სხვადასხვა ადგილმდებარეობების უნიკალურ პირობებთან და სხვადასხვა თემებისათვის. ამ ცვლილებების შესახებ, საჭიროებისამებრ, წინასწარ უნდა ეცნობის შესაბამის ეროვნულ და რეგიონალურ კოორდინატორებს.

**3. ადგილობრივი მთავრობა:** ოფიციალური ადგილობრივი ინსტიტუტები არიან მოვალე და უფლებამოსილი უზრუნველყონ საჯარო მომსახურება ადგილობრივ დონეებზე. ადგილობრივი მთავრობების უფლებამოსილებები, ფუნქციები, რესურსები და შემადგენლობა არის მნიშვნელოვანად განსხვავებული ქვეყნის შიგნით და სხვადასხვა ქვეყნებში. მნიშვნელოვანი განსხვავებაა მცირე სასოფლო მმართველობასა და დიდ მუნიციპალიტეტებს შორის, იმ საკითხებში, რომელთა გადაწყვეტაც მათ უხდებათ, აგრეთვე მათ მანდატსა და რესურსებში. ეროვნული მთავრობები პასუხისმგებელი არიან პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავებაზე, მაშინ როცა ადგილობრივ მმართველობაზე არის დამოკიდებული მათი ეფექტური განხორციელება - ადგილობრივი მართვა არის ის ადგილი, სადაც ეროვნული პოლიტიკა გარდაიქმნება პრაქტიკულ ქმედებად.

VFL 2011-ის პროცესში ადგილობრივი მთავრობების ძირითადი წარმომადგენლების განსაზღვრისათვის საჭიროა განისაზღვროს სახელმწიფო ინსტიტუტების ყველაზე დაბალი დონე, რომელსაც აქვს მართვის ფუნქციების ეფექტური განხორციელების უნარი. ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე მაგალითი:

- ცენტრალური სამთავრობო დეპარტამენტებისა და სამინისტროების ადგილობრივი სამსახურების ყველაზე დაბალი რგოლი, მაგალითად ჯანდაცვის მოსამსახურეები, სკოლების მასწავლებლები, სასოფლო-სამეურნეო მუშაკები, ჰიდროინჟინერები;

- ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოები, მაგალითად არჩეული მუნიციპალიტეტები, ქალაქმეგობრულად, რაიონების დონეზე ოფიციალური პირები, სოფლის განვითარების კომიტეტები და სხვა.

ზოგიერთი შეკითხვა, რომელიც ეხება ადგილობრივი მთავრობის პოლიტიკას, ბიუჯეტს და წესებს, შეიძლება არ იყოს შესაბამისი რესპოდენტისათვის, რომელიც წარმოადგენს ადგილობრივ თემს, ამ შემთხვევაში მათ უნდა უპასუხონ „არ ვიცი“.

**4. მოწყვლადი (სოციალურად დაუცველი მოსახლეობა):** მოსახლეობა, რომელიც განსაკუთრებით მგრძობიარეა კატასტროფების საფრთხეების მიმართ ფიზიკური, სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორების გამო. ისინი შესაძლოა დაგვარდნით სოციალურ ეთნიკური წარმომავლობის, ასაკის, სქესის, კლასის/კასტის, პოლიტიკური განწყობის ან რელიგიური მრწამსის მიხედვით. ეფექტური მმართველობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს და რეაგირება უნდა მოხდეს ყველა მოქალაქისა და დაინტერესებული პირის სხვადასხვა საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე. ეს ჩართავს დამატებით ძალისხმევას, რათა ყურადღება მიექცეს და გაგებული იქნეს სტიქიური მოვლენებისადმი ყველაზე მოწყვლადი მოსახლეობის განსაკუთრებული საჭიროებები (მაგალითად ქალები, ბავშვები, მოხუცები, ინვალიდები, ეთნიკური უმცირესობები და მიგრანტები), რომლებსაც ყველაზე ნაკლებად შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა ადგილობრივი მთავრობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე.

**5. მონაწილეობა:** კარგი მართვის ბირთვია ინკლუზიური გადაწყვეტილებების მიღების ვალდებულება სხვადასხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით ამ პროცესში. მონაწილეობამ და დეცენტრალიზაციამ შესაძლოა შექმნას უფრო ინკლუზიური ატმოსფერო, რაც იწვევს კუთვნილების მეტ შეგრძობას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს უფრო შესაბამის, ეკონომიკურად ეფექტურ და მდგრად ჩარევას.

**6. გენდერი:** გენდერი არ გულისხმობს მხოლოდ ქალებს, არამედ მამაკაცებისა და ქალების სხვადასხვა საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, მათ თანაბარ მონაწილეობას ხელმძღვანელობასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. გენდერული ანალიზი აღიარებს ურთიერთქმედებას სქესის, ასაკისა და სხვა სოციალურ მძლავრ კავშირებს შორის, როგორცაა, მაგალითად კლასი და ეთნიკური წარმომავლობა.

**7. ფინანსური რესურსები:** შეზღუდვები რესურსებში ხშირად სახელდება მიზეზად, თუ რატომ ვერ განხორციელდა სტიქიური მოვლენების რისკების შემცირების ღონისძიებები. სტიქიური მოვლენების საფრთხეების შემცირების ცალკეული ელემენტების გარდა (როგორცაა მაგალითად სტიქიური მოვლენებისადმი მზადყოფნა ეფექტური რეაგირებისათვის), სტიქიური მოვლენების საფრთხეების შემცირების ხარჯები არ არის ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ახალი მკაფიო სახარჯო დავალება. თუმცა დამატებითი დაფინანსება არის საჭირო, რათა უზრუნველყოფილი იქნეს, რომ სტიქიური მოვლენების რისკები გათვალისწინებულია ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო ხარჯების მართვაში და სოციალური, ეკონომიკური, ურბანული, გარემოსდაცვითი და ინფრასტრუქტურის სექტორების დაგეგმვასა და გეგმების განხორციელებაში.

**8. დეცენტრალიზაცია:** დეცენტრალიზაცია არის მნიშვნელოვანი საშუალება, რათა პასუხისმგებლობები და რესურსები განაწილებული იქნეს მუნიციპალურ და ადგილობრივ დონეებზე სუბსიდიარობისა და თანაპასუხისმგებლობის პრინციპებზე დაყრდნობით. დეცენტრალიზაციამ შესაძლოა გააძლიეროს კუთვნილების გრძნობა და განაპირობოს უფრო მეტი მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება, რომლებიც მნიშვნელოვანია გრძელვადიანი მდგრადობისათვის. ეფექტური დეცენტრალიზაცია მოითხოვს, რომ მკაფიოდ იქნეს განსაზღვრული თითოეული სტრუქტურის უფლებები და მოვალეობები, რესურსები იქნეს უზრუნველყოფილი და არსებობდეს ეფექტური კოორდინაცია, იმისათვის, რომ არ იქნეს იზოლირებული ერთმანეთი ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესიდან.

**9. საბაზისო მდგომარეობა (საწყისი წერტილი):** საბაზისო მდგომარეობის, ნიშნულებისა და დროში გაწერილი ამოცანების განსაზღვრა შესაბამის სამინისტროებთან და განვითარების სექტორებთან ერთად, შეიძლება გახდეს წამყვანი ქმედებებისათვის და პროგრესისათვის. ადგილობრივი ინსტიტუტების მკაფიოდ განსაზღვრულ როლთან და პასუხისმგებლობებთან ერთად, მან შესაძლოა გააძლიეროს პოლიტიკური მფლობელობა და ანგარიშვალდებულება სამთავრობო და არასამთავრობო ინსტიტუტების ნაწილში.

**10. მონიტორინგი:** ადგილობრივ დონეზე მონაწილეობითი მონიტორინგი და ამოცანების გადაჭრის აუდიტი არის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ეფექტური განხორციელების, ანგარიშვალდებულების გაზრდის, გამჭვირვალობისა და საჯარო კუთვნილების განმაპირობებელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. მონაწილეობითი მონიტორინგი უზრუნველყოფს ადგილობრივ დონეზე პროგრესის დამოუკიდებელ შეფასებას. ადგილობრივი მთავრობის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და თემების წარმომადგენლების ჩართვის გზით მონაწილეობითი მონიტორინგი ქმნის პოლიტიკური დიალოგის საშუალებას, რისი შედეგიცაა ადგილობრივ მოქმედ პირებს შორის გაზრდილი ნდობა და ურთიერთგაგება.

**11. გასაჩივრების პროცედურა:** კარგი მმართველობა დამოკიდებულია საჯარო ანგარიშვალდებულებაზე, მათ შორის გასაჩივრების შესაძლებლობაზე – პროცესზე, რომლის საშუალებითაც მოსახლეობას ეძლევა საშუალება აღძრას საჩივარი და მოიძიოს შესაბამისი პასუხი, როცა ადგილობრივი მთავრობა არ ასრულებს პოლიტიკურ ვალდებულებებსა და მოვალეობებს.

**12. ინფორმაციის მართვა:** სტიქიური მოვლენების ცვალებადობა მოითხოვს ინფორმაციის შეკრების, ანალიზისა და გავრცელების უწყვეტ და რეგულარულად განახლებად პროცესს. შესაბამისი ინფორმაციის შეკრებას სჭირდება საფრთხეების მოდელისა და მიზეზების ცოდნა ურბანულ და სასოფლო დასახლებებში, მათ შორის ინფორმაცია კლიმატური რისკების შესახებ კლიმატური მოდელისა და ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის სახით. ადგილობრივი ცოდნა და გამოცდილება დაკავშირებული უნდა იქნეს გარე სამეცნიერო ინფორმაციასთან. ადგილობრივ მთავრობებმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა აგრეთვე რეგულარულად უნდა უზრუნველყონ ადგილად გასაგები ინფორმაციის მიწოდება სტიქიური მოვლენების რისკების შემცირების შესახებ სამთავრობო გეგმებისა და ღონისძიებების, ბიუჯეტის, ხარჯების, შედეგების ანგარიშებისა და ძირითადი გადაწყვეტილებების შესახებ.

**13. კოორდინაცია:** ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა კოორდინაცია, როგორც ადგილობრივი მმართველობის უწყებებს შორის, ისე სხვადასხვა სამინისტროებისა და სექტორების ადგილობრივ წარმომადგენლობებს შორის.

**14. მონაწილეობა:** სტიქიური მოვლენების რისკების შემცირების ყველაზე ეფექტური პროგრამები ითვალისწინებენ პარტნიორობას ადგილობრივ მთავრობებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, ძირითად ორგანიზაციებსა და კერძო სექტორს შორის. პარტნიორობას (თანამონაწილეობას) შეიძლება ჰქონდეს მცირე სამეზობლო ასოციაციების ან უფრო ოფიციალური, მთავრობა-სამოქალაქო საზოგადოება-კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის ფორმა. წარმატებული პარტნიორობა არ მიიღწევა ერთ დღეში და სამთავრობო უწყებებმა უნდა გამოიყენონ პარტნიორობის ჩამოყალიბების სტრატეგიული მიდგომა. მიზანი კი უნდა იყოს ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება და ძლიერი სახელმწიფო, რომელთაც აქვს პარტნიორული ურთიერთობები სოციალური პასუხისმგებლობის მქონე კერძო სექტორთან.

**შეფასება ინდიკატორების მიხედვით**

**ძირითადი ინდიკატორების მიხედვით მიღწევების მაგალითები პროგრესის განსაზღვრისათვის.**

ქვემოთ მოყვანილია მიღწევების მდგომარეობის მანერებელი მაგალითები, რომლებიც დაგეხმარებათ თითოეული ინდიკატორის მიხედვით პროგრესის განსაზღვრაში 1-დან 5-მდე ქულების სისტემით. არ იგულისხმება, რომ VFL-ის კვლევაში გამოიყენება „დირექტივის მიმცემი“ მიდგომა. პრაქტიკულად, ინტერვიუერის მხრიდან საჭიროა გარკვეული მოქნილობა კონკრეტულ შეკითხვასთან და ქულებთან მიმართებით, რომლებიც უნდა გამოისახოს პროგრესის მოცულობა და არსი თითოეული ინდიკატორის მიხედვით, ისე როგორც ეს ყველაზე უმჯობესი იქნება.

შეფასების ქულა 1 - არა	შეფასების ქულა 5 – დიახ, დამაკმაყოფილებელი და ეფექტური ღონისძიებებით
<p><b>1.1 მონაწილეობა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არ დასტურდება კატასტროფების რისკების შემცირების გეგმარებისას მოწყვლადი ჯგუფების პრიორიტეტიზაცია, მაღალი რისკის არეებისა და/ან სექტორების გამოყოფა;</li> <li>• არ არის გაცნობიერებული დიფერენციალური მოწყვლადობა;</li> <li>• არ აღინიშნება დაგეგმვა ან პრევენციული ქმედებები მდგომარეობის გამოსასწორებლად;</li> <li>• კატასტროფების რისკების შემცირების ეროვნულ პლატფორმებში არ არის წარმოდგენილი სამოქალაქო საზოგადოება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გეგმებითა და პროცედურებით განსაზღვრულია პრიორიტეტული არეები, სექტორები და მოსახლეობის ფენები, გეგმები და პროცედურები მიმართულია მათზე, გათვალისწინებულია შესაბამისი ინფორმაცია საფრთხეების შესახებ, დიფერენციალური მოწყვლადობა და ბავშვების, ახალგაზრდებისა და მოხუცების შესაძლებლობები;</li> <li>• სტიქიური მოვლენების რისკების შემცირების სექტორალურ ეროვნულ პლატფორმებში წარმოდგენილია ადგილობრივი დაინტერესებული პირები, პოლიტიკისა და პრაქტიკული ქმედებების კოორდინაციისათვის;</li> <li>• მკაფიოდაა განსაზღვრული გზები და საშუალებები, რითაც მოსახლეობის მოწყვლად ფენებსა და სათემო ორგანიზაციებს შეუძლიათ ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღებისა და დაგეგმვის პროცესში.</li> <li>• ადგილობრივი მთავრობები მხარს უჭერენ და გამოყოფენ ადეკვატურ რესურსებს ძირითადი ორგანიზაციების, მოხალისეთა ჯგუფებისა და სამოქალაქო საზოგადოების მოქმედი პირების შესაძლებლობების ამაღლებისათვის, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ კატასტროფების რისკების შემცირების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებაში, პოლიტიკის შემუშავებაში, დაგეგმვასა და განხორციელებაში.</li> </ul>
<p><b>1.2. გენდერული საკითხები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ქალები და მამაკაცები განიხილებიან, როგორც პასიური მსხვერპლი;</li> <li>• არ არის ქალთა და მამაკაცთა განსხვავებული საჭიროებებისა და პრიორიტეტების გაცნობიერების მცდელობა;</li> <li>• არ არის ადგილობრივ პოლიტიკაში, გეგმებსა და პროცედურებში გენდერული საკითხების ასახვის მცდელობა;</li> <li>• არ არის გენდერული თანასწორობა მიწისა და მფლობელობის უფლებებში;</li> <li>• ეროვნულ / სუბ-ეროვნულ პლატფორმებში არ არის ქალთა ფართო წარმომადგენლობა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გენდერული საკითხები ინტეგრირებულია კატასტროფების რისკების შემცირების ყველა პოლიტიკაში, გეგმაში და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;</li> <li>• ადგილობრივი მთავრობები ასწავლიან და სრულიად ჩართული ჰყავთ ქალები და მამაკაცები გენდერულ-სათემო მოწყვლადობისა და შესაძლებლობების შეფასებაში, მათ შორის სპეციფიკური გენდერული საჭიროებების გამოვლენაში;</li> <li>• სასწავლო ინიციატივები თანაბრად ხელმისაწვდომია;</li> <li>• შექმნილია არსობრივი შესაძლებლობები ქალთა მონაწილეობისა და ლიდერობისათვის;</li> <li>• ხდება სპეციფიკური გენდერული ინფორმაციის შეგროვება და გამოთხოვნა;</li> <li>• შექმნილია ბავშვთა მოვლის, ტრანსპორტირებისა და სხვა მხარდაჭერი საშუალებები, რათა უზრუნველყოფილი იქნას ქალთა აქტიური მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებისა და დაგეგმვის პროცესებში.</li> </ul>
<p><b>1.3 ბავშვები და ახალგაზრდები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არ არის ბავშვებისა და ახალგაზრდების განსხვავებული საჭიროებებისა და პრიორიტეტების გაცნობიერების მცდელობა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბავშვები არიან აქტიურად ჩართულები, როგორც თემის დონეზე ცვლილებების ეფექტური აგენტები;</li> <li>• მონაცემები იკრიბება და ჯგუფდება ასაკობრივი კრიტერიუმების მიხედვით</li> </ul>
<p><b>1.4. მოხალისეები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არ არის მოხალისეების ჩართვის ან მოხალისეობის წახალისების მცდელობა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გაცნობიერებულია ნებაყოფლობითი ქმედებების როლი და წვლილი სტიქიური მოვლენების რისკების შემცირების შესაძლებლობების ამაღლებაში</li> </ul>
<p><b>1.5. პოლიტიკა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილობრივ დონეზე არ არის სტიქიური მოვლენების რისკების შემცირების პოლიტიკა</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• არსებობს კატასტროფების რისკების შემცირების პოლიტიკა, კანონმდებლობა და ინსტიტუციონალური ჩარჩო სუბ-ეროვნულ / ადგილობრივ დონეებზე (მუნიციპალური, რაიონული, სასოფლო)</li> </ul>

	<ul style="list-style-type: none"> <li>• კატასტროფების რისკების შემცირების პოლიტიკა არის ადგილობრივად კუთვნილი და ახლდება რეგულარულად</li> </ul>
<b>1.6 ადგილობრივი/მკვიდრი შესაძლებლობები</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობა მიიხრევა, როგორც დახმარების პასიური მიმღები და არ განიხილება ადგილობრივი შესაძლებლობები და დაძლევის მექანიზმები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საფრთხეების პროფილებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, ადგილობრივი მთავრობა აფასებს და აგროვებს ინფორმაციას ტრადიციული პრაქტიკის, ადგილობრივი ჩვეულებისა და ცოდნის შესახებ;</li> <li>• ადგილობრივი მთავრობები აფასებენ საფრთხის ქვეშ მყოფი მოსახლეობის შესაძლებლობებსა და დაძლევის (თავის გათმევის) სტრატეგიებს (მაგ. ადგილობრივ ცოდნას, ბუნებრივ რესურსებს, სოციალურ ქსელებს) როგორც ეფექტური ჩარევის შემადგენელ ელემენტს.</li> </ul>
<b>1.7 დაგეგმვა</b> არ დასტურდება ადგილობრივ დონეზე სამოქმედო გეგმისა და დაგეგმვის არსებობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• შესაბამისი სამინისტროებსა და ადგილობრივ ადმინისტრაციულ უწყებებში არსებობს ადგილობრივი დონის მართვის გეგმები;</li> <li>• დაგეგმვა ხდება საფრთხის ქვეშ მყოფი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით.</li> </ul>
<b>1.8. ფინანსური რესურსები</b> ინსტიტუციონალურ და/ან პროგრამულ ბიუჯეტებში არ არის სპეციალურად გამოყოფილი რესურსები სტიქიურ მოვლენებთან დაკავშირებული საფრთხეების ინტეგრირებისათვის შესაბამის სექტორებში	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილობრივ ადმინისტრაციულ ბიუჯეტებში გამოყოფილია რესურსები, რათა მხარდაჭერილი იქნას სტიქიური მოვლენების რისკების შემცირების ღონისძიებები სამინისტროებისა და დეპარტამენტების ყველა შესაბამის სექტორში;</li> <li>• არსებობს ამ რესურსების გამოყენებისა და ეფექტურობის მანევრებელი მკაფიო კრიტერიუმები;</li> <li>• მკაფიოდაა გაცნობიერებული კატასტროფების რისკების შემცირების ღონისძიებების ღირებულებები და სარგებლობები;</li> <li>• წახალისებულია და არსებობს მექანიზმები დაფინანსების მისამართად უშუალოდ ადგილობრივ ინიციატივებზე, საფრთხის ქვეშ მყოფ თემებსა და ადგილობრივ უფლებამოსილ ორგანოებზე;</li> <li>• შერჩეულია დაფინანსების სამიზნეები ადგილობრივ დონეზე განხორციელებისათვის</li> </ul>
<b>1.9 დეცენტრალიზაცია</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• ძლიერ ცენტრალიზებული უფლებამოსილი და პასუხისმგებლობის მქონე სამთავრობო ორგანოები;</li> <li>• არ დასტურდება, რომ ადგილობრივი მთავრობები უფლებამოსილია სტიქიური მოვლენების საფრთხეების მართვასა და შემცირებაში.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დეცენტრალიზებული როლები, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები მკაფიოდაა განსაზღვრული და განაწილებული შესაბამისი სამინისტროებსა და ადგილობრივ უწყებებსა და პირებს შორის.</li> <li>• არსებობს ძლიერი და მდგრადი კავშირები ადგილობრივ და ეროვნულ დონეებსა და საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს შორის.</li> </ul>
<b>1.10 ექსპერტიზა</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილობრივ დონეზე არ არსებობს სტიქიური მოვლენების რისკების შემცირების მართვის ტექნიკური ჩვევები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილობრივ მთავრობას აქვს საკმარისი გამოცდილება, ტექნიკური, დაგეგმვისა და მართვის ჩვევები, რათა დაგეგმოს და ჩართოს სტიქიური მოვლენების საფრთხეების შემცირება ყველა სექტორში ყველა დონეზე, მათ შორის ძირითად ინფრასტრუქტურულ პროექტებში;</li> <li>• ადგილობრივ მთავრობებს აქვთ სათანადო დამოკიდებულება, რათა კატასტროფების საფრთხეების შემცირების ქმედებები დაგეგმონ და განხორციელონ ღირსეულად და საფრთხის ქვეშ მყოფი მოსახლეობის მიმართ პატივისცემით.</li> </ul>
<b>1.11 სწავლება</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• კომპეტენტური ადამიანური რესურსების განვითარება არ განიხილება, როგორც სტრატეგიული ქმედება;</li> <li>• არ დასტურდება ფორმალური ან არაფორმალური სასწავლო, საგანმანათლებლო და/ან ჩვევების გამომუშავების ხელშეწყობის ტრენინგების ჩატარება ადგილობრივ დონეზე.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილობრივი მთავრობა მომხრეა გააძლიეროს ადგილობრივი ოფიციალური პირების და თემების ღიდერების ჩვევები და კომპეტენცია თემზე დაუფუძნებულ რისკების მართვაში.</li> <li>• უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო, სასწავლო და საწვრთნელი მხარდაჭერა, რათა განვითარდეს ლიდერობა და პროფესიული კომპეტენციები კატასტროფების რისკების შემცირების პოლიტიკის, სტრატეგიების, პროგრამებისა და პროექტების ფორმულირებისათვის, მართვისა და განახლებისათვის, მათ შორის ტექნიკური ჩვევები და გამოცდილება, რომელიც ასოცირებულია კონკრეტულ სექტორულ მოვალეობებთან და მიდგომებთან.</li> </ul>
<b>1.12 საბაზისო მონაცემები (საწყისი წერტილი)</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• არ დასტურდება, რომ განსაზღვრულია საბაზისო მდგომარეობა და ამოცანები, კატასტროფების რისკების შემცირების ძალიან მჭიდროდ</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საბაზისო მონაცემები, ვადებში გაწერილი ნიშნულები და შესასრულებელი ამოცანები შერჩეულია სამინისტროებსა და სექტორებში ქმედებებისა და პროგრესის წარსამართად.</li> <li>• ამოცანები დაკავშირებულია ინსტიტუციონალურ და</li> </ul>

<p>წარსმართად.</p>	<p>პერსონალურ დონეებზე მკაფიოდ განსაზღვრულ მოვალეობებთან, რათა უზრუნველყოფილი იქნას მკაცრი პოლიტიკური კუთვნილება და ანგარიშვალდებულება სტიქიური მოვლენების რისკების შემცირების განრიგის მიმართ.</p>
<p><b>1.13 მონიტორინგი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არ დასტურდება ქმედებათა მონიტორინგი ადგილობრივ დონეზე;</li> <li>• არ ხდება მიღებული გამოცდილების განხილვა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• არსებობს სისტემატური, მარტივი და დროული მონიტორინგის სისტემები გამჭვირვალე პროცედურებით, რათა შეფასდეს სტიქიური მოვლენების რისკების შეფასების ვალდებულებების შესრულება და პროგრესი. მონიტორინგის მიგნებები ქვეყნდება რეგულარულად.</li> <li>• ხდება ჩარევის ქმედებების მუდმივი ადაპტირება მონიტორინგით მიღებული ინფორმაციის და შექმნილი გამოცდილების მიხედვით;</li> <li>• პერიოდული გამოძახილისა და გამოცდილების მიღების საფარჯიშოები განხორციელების მთელი ფაზის განმავლობაში;</li> <li>• მონიტორინგის პროცესი არის მონაწილეობითი და ხდება როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მიდგომების გამოყენება.</li> </ul>
<p><b>1.14 მონაწილეობითი მონიტორინგი</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დაზარალებული მოსახლეობა არ არის ჩართული მონიტორინგში და გამოცდილების მიღების განხილვის ინიციატივებში;</li> <li>• დაზარალებულ მოსახლეობას არ მიეწოდება ინფორმაცია პროგრესის შესახებ.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილობრივი მთავრობის ოფიციალური პირები, ძირითადი ორგანიზაციები და დაზარალებული მოსახლეობის წარმომადგენლები სრულად არიან ჩართული მონიტორინგის პროცესში;</li> <li>• ინფორმაცია პროგრესის შესახებ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი, გასაგები და განხილული ინფორმაციის მომწოდებელ ჯგუფებთან;</li> <li>• სათემო დამკვირვებლები წარმომადგენენ მაღალი რისკის ქვეშ მყოფ ყველა ჯგუფს, კერძოდ მარგინალურ და „შეუმჩნეველ“ ჯგუფებს.</li> </ul>
<p><b>1.15 გასაჩივრების პროცედურა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ოფიციალურად არ არის გაცნობიერებული მოსახლეობის უფლებები გაასაჩივრონ და მოითხოვონ ანაზღაურება შეუსაბამო აღსრულებისათვის;</li> <li>• არ არსებობს საჩივრის შეტანის პროცედურა;</li> <li>• მოსახლეობა არ ენდობა (არ თვლის უსაფრთხოდ) გასაჩივრებასა და ანაზღაურების მოთხოვნას</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილობრივმა მთავრობამ ჩამოაყალიბა და მოქმედებაში გასაჩივრების პროცედურა, რომელიც ხელმისაწვდომი და უსაფრთხოა დაზარალებული მოსახლეობისათვის, რათა ინიველონ და მოითხოვონ ანაზღაურება, როდესაც ხელისუფლება არ ასრულებს ვალდებულებებს DRR-ის შეთანხმებული მიზნების, ამოცანებისა და სტანდარტების შესაბამისად.</li> <li>• დაზარალებული თემებისათვის ცნობილი და გასაგებია გასაჩივრების პროცედურა.</li> </ul>
<p><b>1.16 ინფორმაციის შეგროვება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სტიქიური მოვლენების რისკების შესახებ ინფორმაცია არ შეესაბამება ადგილობრივი ოფიციალური პირებისა და დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებსა და პრიორიტეტებს;</li> <li>• არ იკრება და არ ფასდება ადგილობრივი ინფორმაცია რისკების მოდულებისა და ტენდენციების შესახებ.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილობრივი მმართველობა რეგულარულად ახორციელებს მონაწილეობით შეფასებებს, აგროვებს მონაცემებს და აანალიზებს ინფორმაციას კლიმატის ცვალებადობის, სტიქიური მოვლენების, ადგილობრივი (სამთავრობო და არასამთავრობო) შესაძლებლობებისა და მოწყვლადობის შესახებ, რათა მის საფუძველზე შეიმუშაოს სტრატეგიები და რისკების შემცირების პროგრამები.</li> <li>• რისკების შესახებ ადგილობრივი ცოდნა გამოიყენება შესაბამისი სამინისტროებისა და სექტორების მიერ ადგილობრივი დონის პროგრამებისა და მოქმედებათა გეგმების შემუშავებაში.</li> </ul>
<p><b>1.17 ინფორმაციის მართვა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არ დასტურდება პრაქტიკული გამოცდილების, იდეებისა და ცოდნის კავშირები და / ან გაზიარება.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ინფორმაციის შეგროვების დროს გათვალისწინებულია მოწყვლადი ჯგუფების კულტურა, საარსებო წყაროები და პოპულაციის სტრუქტურა;</li> <li>• ადგილობრივი მთავრობები სისტემატურად აკავშირებენ ადგილობრივ ცოდნას მეცნიერულ ცოდნასთან (მაგალითად კლიმატის ცვლილების სცენარებთან და ამინდის პროგნოზთან).</li> <li>• ხდება იდეებისა და ცოდნის გაზიარება ადგილობრივ ლიდერებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის.</li> </ul>
<p><b>1.18 ინფორმაციის გაერცვლება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შესაბამისი ინფორმაცია ვერ აღწევს დაინტერესებულ პირებამდე და დაზარალებულ მოსახლეობამდე, რომლებსაც ის ჭირდებათ;</li> <li>• ადგილობრივი მოსახლეობისა და ოფიციალური პირებისათვის უცნობია სახელმწიფოს</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დაზარალებული მოსახლეობა ამბობს, რომ ხდება მათი რეგულარული ინფორმირება ადგილობრივი მთავრობის მოვალეობების, მიზნების, პროგრამების, ბიუჯეტისა და მკოორდინირებული როლის შესახებ;</li> <li>• ადგილობრივ ოფიციალურ პირებსა და დაზარალებულ თემებს რეგულარულად მიეწოდებათ ადეილად გასაგები</li> </ul>

<p>მოვალეობები, DRR-ის სტრატეგიები, გეგმები და ქმედებები.</p>	<p>ინფორმაცია პროგრამის მიზნების, ქმედებების, ბიუჯეტისა და პროგრესის შესახებ.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინფორმაცია წარმოდგენილია შესაბამის ენაზე, შესაბამისი ფორმატით და ხელმისაწვდომია და გასაგებია ადგილობრივი მოსახლეობისათვის და კონკრეტული დანიტერესებული მხარეებისათვის.</li> </ul>
<p><b>1.19 შიდა – სამთავრობო კოორდინაცია</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არ დასტურდება კოორდინაციის ეფექტური მექანიზმების არსებობა;</li> <li>• შესაბამის სექტორები არ მონაწილეობენ კოორდინაციის მექანიზმში;</li> <li>• DRR-ის არაკოორდინირებული ქმედებები იწვევენ დუბლირებას, უშედეგობას და ხარვეზებს დაფარულობაში.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• განსაზღვრულია ის ძირითადი მომსახურებები, სექტორები და ქმედებები, სადაც აუცილებელია კოორდინაცია;</li> <li>• არსებობს ეფექტური პორიზონტალური და ვერტიკალური კოორდინაციის მექანიზმები (შეხვედრები და ინფორმაციის გაცვლის მექანიზმები) ადგილობრივ დონეზე სექტორებსა და სამინისტროებს შორის კოორდინაციის უზრუნველსაყოფად;</li> <li>• კოორდინაციის ქმედებები უზრუნველყოფილია საკმარისი რესურსებით;</li> <li>• საკოორდინაციო ორგანო იკრიბება რეგულარულად, ათანხმებს ქმედებებს და ანგარიშებს წარადგენს რეგულარულად.</li> <li>• DRR-ის ქმედებები იგეგმება და ხორციელდება კოორდინირებულად შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებთან, სექტორებთან და მოქმედ პირებთან (სამთავრობო და არასამთავრობო).</li> </ul>
<p><b>1.20 პარტნიორობა (თანამონაწილეობა)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არ დასტურდება ადგილობრივი მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების პარტნიორობა;</li> <li>• არ დასტურდება ქმედებები, რომლებიც მიმართულია სექტორებსა და დისციპლინებს შორის კავშირებისა და კოალიციების ჩამოყალიბებაზე.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ადგილობრივი მთავრობა მხარს უჭერს და რესურსებით უზრუნველყოფს ძალისხმევებს, მიმართულს საჯარო სექტორს, სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სექტორს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და კავშირების განვითარებაზე.</li> <li>• ყალიბდება და მხარდაჭერილია მულტი-დისციპლინარული და ინტერ-სექტორალური პარტნიორობა და ქსელები;</li> <li>• უზრუნველყოფილია, რომ პარტნიორობის ყველა ასპექტი (როლები, პასუხისმგებლობები, შესაძლებლობები, რესურსები) ეფუძნებოდეს ადგილობრივი თემების საჭიროებებსა და პრიორიტეტებს.</li> </ul>



## ბამოყენებული ლიტერატურა:

1. არაბუნებრივი კატასტროფები, CENN, 2008
2. ბუნებრივი კატასტროფების რისკის მართვა და ბუნებრივი კატასტროფებით გამოწვეული მიგრაცია საქართველოში, მწვანე ალტერნატივა, 2008;
3. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის (2011-2015) სამუშაო ვერსია, გარემოს დაცვის სამინისტრო, 2010;
4. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების სამუშაო ვერსია, გარემოს დაცვის სამინისტრო, 2010
5. HFA Monitoring and review through a multi stakeholder engagement process, 2009-2011, Georgia, Ministry of Environment Protection;
6. საქართველოს მთავრობა, ძირითადი მონაცემები და მიმართულებები (2007, 2008, 2009, 2010 და 2011 წლებისათვის);
7. საქართველოში 2007 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2008 წლისათვის, საინფორმაციო ბიულეტენი, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო, 2008;
8. საქართველოში 2008 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2009 წლისათვის, საინფორმაციო ბიულეტენი, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო, 2009;
9. საქართველოში 2009 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2009 წლისათვის, საინფორმაციო ბიულეტენი, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო, 2010;
10. საქართველოში 2010 წელს სტიქიური გეოლოგიური პროცესების განვითარების შედეგები და პროგნოზი 2011 წლისათვის, საინფორმაციო ბიულეტენი, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო, 2011.
11. საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წლების სახელმწიფო სტრატეგია, დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №172 დადგენილებით.
12. საქართველოს საფრთხეების შეფასების 2010-2013 წლების დოკუმენტი, დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 2 სექტემბრის №707 ბრძანებულებით.
13. ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმა, დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 26 აგვისტოს №415 ბრძანებულებით.
14. Tom Trier & Medea Turashvili, Resettlement of Ecologically Displaced Persons, Solution of a Problem or Creation of a New? Eco-Migration in Georgia 1981-2006, ECMI Monograph #6, August 2007;
15. Environmental Performance Reviews, Georgia, Second Review, United Nations Economic Commission for Europe, 2010.